ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## „ქვეყანა 90-იან წლებში დაბრუნდა“



კახა კუკავა: „კრიმინალის ზრდის თვალსაზრისით უმაღლეს სტადიაზე ვართ!“

გვ.2

16 იანვრიდან

ალექსანდრე იასალაშვილი

„მგლის ბილიკი“

ქართული დეტექტივი ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




ოთხშაბათი, 17 იანვარი, 2018 №13 (7558) ფასი: 50 თეთრი

# „უშველებელ დანამომარჯვებულმა პრივილეგირებული ოჯახის შვილმა ჩვენი დაცვის უფროსი და დაცვის წევრები სასიკვდილოდ გაიმეტა“





გვ.5

## რა მოხდა თბილისის კლუბ „ბასიანში“



პაატა ქვლივიძე: „თვითონ შეუცვივდნენ და ამ ჭიდაობაში იქნევდა თავდაცვის მიზნით, ალბათ. მე მას არ ვამართლებ“

## „ივანიშვილი ოპოზიციაში „ოცნებას“ უშვებს“



გვ.2



გვ.3

## „ხელისუფლებამ რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა გააგრძელოს“

## მირიან მირიანაშვილი: „ანაკლიის პორტი პოლიტიკური და ეკონომიკური ავანტიურაა“



გვ.3

„მსხვილი ნავსადგური უფრო სამხრეთით უნდა აშენდეს“

### სამართალი

გვ.7

## ვინ შეუკვეთა გენერლის მკვლელობა



## 15 დღეში ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების 162 ფაქტი გამოვლინდა



## სამცხე-ჯავახეთში მოქალაქეებმა ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ნებაყოფლობით ჩააბარეს



### ეკონომიკა

გვ.6




## 2 თვეში გადახდისუუნარო მოსახლეობის რაოდენობა 4,7 ათასით გაიზარდა



## მთავრობის 620-გვერდიანი დადგენილება ცუდი ენით არის ნათარგმნი და მისი გაგება რთულია



## რეგულაციების დაწესება სათამაშოების ბაზარზე

## სავალუტო ჯიხურების რეგულირება მკაცრდება



ISSN 1987-9385

**4** სახალხო დამცველმა სამართალდამცავებს მაჩალიკაშვილების ოჯახთან შუამავლობა შესთავაზა

**7** გორში 40 წლამდე მამაკაცმა თავი ჩამოიხრჩო

**5** კახა კალაძე: „თბილისში რკინიგზა უნდა იყოს თუ არა შემოვლითი, კვლევის შედეგად უნდა გადაწყდეს“

**4** კახეთში ბრონეულის პლანტაცია გაშენდება

# „ქვეყანა 90-იან წლებში დაბრუნდა“

ნონა ცაბაძე

**ქვეყანაში გაჩითულებულ კრიმინოგენულ ფონზე „ახალი თაობის" კითხვებს თავისუფალი საქართველოს ლიდერი კახა კუკავა აფასებს.**




***– ბატონო კახა, თქვენ პროფესიით იურისტი ბრძანდებით და ქვეყანაში არსებული კრიმინოგენური ვითარება შევაფასოთ. დღე არ გავა, საზოგადოებამ მკვლელობის, დაჭრის, დაყაჩაღების შესახებ არ შეიტყოს ინფორმაცია. რა ხდება, რატომ გამწვავდა ასე ვითარება? სუპერმარკეტებს რომ ვაკვირდები, უკვე გისოსებში ჩასვეს კარები და ვიტრინები. საით მივდივართ?***

– ეს არის სახელმწიფო პოლიტიკის შედეგი, პირდაპირ უნდა ითქვას. მე ცოტა ხნის წინ პოსტი მქონდა ფეისბუქგვერდზე ოთარ აბესაძესთან დაკავშირებით, სადაც ვთქვი, ეს ოთარ აბესაძესთან კავშირში არ დამიწერია, მაგრამ ზოგადად არასწორი პოლიტიკის შედეგია ეს ყველაფერი, როცა ქვეყანას აქვს არა სახელმწიფო პოლიტიკა, არამედ, რაც საქართველოსთვის არის დამტანჯველი, არის ის, რომ ყველაფერი ნაცნობობით, მეგობრობით, აბა, ეს ჩვენი ბიჭია, ეს ჩვენი დათკაა, ეს ჩვენი გიოა, როგორ უნდა ჩაჯდეს და, სამწუხაროდ, ასე წყდება კრიმინალური პოლიტიკის საკითხები, მაშინ როდესაც სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ძალიან შეურიგებელი დამოკიდებულება სისხლის სამართლის დანაშაულის მიმართ. ამან თავისი შედეგი გამოიღო.

***– ანუ ხელისუფლების პოლიტიკის ბრალია ყველაფერი?***

– დიახ, ასეა. არის მედიცინაშიც და პოლიტიკაშიც ასეთი რაღაცა, რომ ხანდახან პირდაპირ უარყოფითი შედეგები არ მოჰყვება ხოლმე არასწორ პოლიტიკას. მაგალითად, მედიცინას თუ ავიღებთ, არასწორი კვება მეორე და მესამე დღესვე არ დაგღუპავს, მაგრამ 5-10 წლის შემდეგ აუცილებლად გამოიღებს შედეგს. ასევეა არასწორი სამართლებრივი პოლიტიკა და კიდევ რამდენიმე სფერო არის სახელმწიფო მართვის, სადაც იმწუთას ვერ გრძნობ. აი, ჭიკაიძის შინაგან საქმეთა მინისტრობამ და ღარიბაშვილის შინაგან საქმეთა მინისტრობამ ახლა გამოიღო თავისი შედეგები.

***– ანუ მაშინდელი არასწორი პოლიტიკის შედეგებს ახლა ვიმკით?***

– ახლა გამოიღოს, რომ ვამბობ, ფართო ფენები ხედავენ ამ შედეგს, თორემ პროფესიონალები ვინც ვართ და სამართლის სფეროსთან ვისაც გვაქვს შეხება, ჩვენ თავიდანვე ვიცოდით, ამას რაც მოჰყვებოდა. „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ვატყობდით, საით მიდიოდა სიტუაცია. სულ მარტივ რაღაცას გეტყვით: ღამის 11-12 საათის შემდეგ ან თუნდაც პირველის, როცა გძინავთ, თუ თქვენი საცხოვრებელი კორპუსი რომელიმე რესტორანთან ახლოს მდებარეობს, ჩემი სახლი, მაგალითად, ასეა. ვინმეს 2012 წლის პირველ ოქტომბრამდე გინება, ჩხუბი ან დაჭრა გესმოდათ? ხომ არ გესმოდათ?! როგორც კი მოვიდა ეს ხელისუფლება, აბსოლუტურად ყოველ ღამე, შემიძლია მოგიწვიოთ და გაჩვენოთ, რა ხდება. ყოველღამ ჩხუბი, გინება, ერთხელაც არ მოსულა პოლიცია და არავინ დაუკავებია.

***– საით მიდიხართ, რომ მიშვებულია სიტუაცია?***

– ეს არის კრიმინალის თარეში, რომელიც ნელ-ნელა მივიდა ამ მდგომარეობამდე. ჯერ გინების უფლება მიიღეს, მერე – წინააღმდეგობის გაწევის უფლება, მერე – დანის ტრიალის უფლება და დღეს უკვე ვხედავთ, რომ არის კრიმინალური თარეში, ის, რაც ხდება 90-იანი წლების ბოლოს. გავიარეთ სუპერმარკეტების დაყაჩაღების ეტაპიც და გუშინ უკვე მოკლეს სოსო ქუთათელაძე, მსხვილი ბიზნესმენი, სერიოზული წილის მფლობელი. ჩვენ დავბრუნდით 90-იან წლებში, როცა უკვე მიდის ბიზნესმენების მკვლელობა. სავარაუდოდ, მას უთხრეს, გადაიხადე მაყუთი, არ გადაიხადა და ამის გულისთვის ადამიანი მოკლეს! აი, ეს სიტუაციაა, ჩვენ უკვე უმაღლეს სტადიაზე ვართ ასული კრიმინალის ზრდის თვალსაზრისით.

***– და რატომ მივედით აქამდე, ან რამ მიგვიყვანა?***

– აქამდე მივედით ნაბიჯ-ნაბიჯ, იმ პოლიტიკით, რომელსაც ატარებდა საქართველოს მთავრობა. კრიმინალების მფარველობის პოლიტიკა! მე ძალიან გული მწყდება იმაზე, რომ მიხეილ სააკაშვილის რეჟიმი, რომლის დამთავრებასაც ამდენი წელი ველოდი, იმ რეჟიმს თუ რამე ჰქონდა დადებითი, ეს იყო კრიმინალის აღმოფხვრა. ესენი ამასაც კი წყალს ატანენ.

***– საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა კლუბ ბასიანში მომხდარ ინციდენტს, სადაც პირმა ორი დაცვის თანამშრომელი და ერთი პოლიციელი დაჭრა, სასამართლომ კი დამნაშავე გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.***

– სწორედ ამას ვგულისხმობდი, როცა ოთო აბესაძის მაგალითი მოვიყვანე. მე, პირადად, ოთოს მიმართ კი არა მაქვს პრეტენზია, არ შეიძლება, ამ ქვეყანაში ყველაფერი წყდებოდეს ასე. 70-იანი წლებიდან მოყოლებული, შეიქმნა ეს ვერა-ვაკის ელიტა, თურმე ჩვენი ბიჭი ციხეში ვერ ჩაჯდება და ასე ნაცნობ-მეგობრობით დამნაშავის გამართლება არ შეიძლება!

***– არ უნდა გამოეშვათ აბესაძე?***

– თუ გვეცოდება ოთო აბესაძე ციხეში, მაშინ ვთქვათ, რომ ქართველები ცოტა მექრთამე ერი ვართ და ქრთამის გამო, მოდით, არ იყოს პატიმრობა და მექრთამეობაზე იყოს მარტო საყვედური ან ადმინისტრაციული ჯარიმა. როცა ვამბობთ, რომ ვიღაცას თუ დავიჭერთ პანკისში, პირდაპირ ტყვია უნდა დავადოთ შუბლში, მაგრამ ახლა თუ არის თბილისის ცენტრალური უბნებიდან და თუ მამიკო ჰყავს ცოტა გამოსული და ფულიანი, მაშინ მას ცნობა უნდა დავუწეროთ, რომ არ შეუძლია ციხეში ჯდომა, ეს არის შერჩევითი მართლმსაჯულება, რომელიც გაფრთხილებთ, რომ კიდევ უფრო უარეს შედეგებს მოიტანს. ეს მოიტანს რევოლუციურ შედეგებს. როდესაც ადამიანები ხედავენ, რომ ვიღაცა ზედმეტია ამ ქვეყანაში და ვიღაცას თავზე ევლებიან, მერე იწყება უკვე ანგარიშსწორების ისეთი მძიმე ფორმები, რომელიც ჩვენ გვქონდა უკვე მხედრიონის შემდგომ პერიოდში. დაიწყება ისეთი მძიმე მოვლენები, რომ დღევანდელი კრიმინალური თარეში მოგვენატრება.

***– ამის მოლოდინი გაქვთ? ასე რთულადაა საქმე?***

– არათუ ამის მოლოდინი მაქვს, ამ საგანს გვასწავლიდნენ უნივერსიტეტში და კრიმინოლოგია ჰქვია მას. ყველა ტერორისტულ აქტსა და მძიმე დანაშაულს ჩადიან სოციალურ ნიადაგზე, 90% ასეა, როდესაც ადამიანი გამწარებულია თავისი ცხოვრებით და მძიმე სოციალური პირობების გამო დგება დანაშაულებრივ გზაზე. მდიდრებს კრიმინალურ ენაზე ფაშისტები ჰქვიათ, სიმდიდრე ამ ქვეყანაში ითვლება დანაშაულად. ძნელია, მოქალაქეებს ესაუბრო იმაზე, რომ კანონი დაიცვას, როცა უყურებენ, რომ 25-ზე მეტმა პარლამენტარმა მექრთამის ციხიდან გამოშვებაზე ხელი მოაწერა! ამის შემდეგ როგორ უნდა დააჯერო ვიღაცა თერჯოლაში მცხოვრები პატარა გლეხის შვილი, რომ კანონი უნდა დაიცვას. არა არ დაიცავს! ის თუ კარგად ხმარობს დანას, შეეცდება, ამ გზით მოიპოვოს თავისი სოციალური მდგომარეობა.

***– გამოსავალი, ბატონო კახა? ვხედავთ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის ცვლილებამ შედეგი არ მოიტანა.***

– ამ შინაგან საქმეთა მინისტრს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა დადებითად ახასიათებს და მეც შემიძლია ვთქვა, რომ წინა შინაგან საქმეთა მინისტრს მართლაც სჯობია, ორი პრობლემა აქვს. პირველი – ის არის ბიძინა ივანიშვილის მიმართ ანგარიშვალდებული, რაც არის პრობლემა. კვირიკაშვილის მაგალითზეც ვნახეთ, რომ ის არის საკმაოდ განათლებული და პატიოსანი ადამიანი. მაგრამ გიორგი კვირიკაშვილი გამოდგა ცუდი პრემიერ-მინისტრი, გამომდინარე იქიდან, რომ ის არ არის დამოუკიდებელი ივანიშვილისგან. მეორე პრობლემა, რომელიც აქვს შს მინისტრს, ის პრობლემები, რომლებიც შექმნილია საქართველოში კრიმინოგენური ვითარების კუთხით, სცილდება ერთი კონკრეტული სამინისტროს პრობლემატიკას.

***– ანუ მხოლოდ შინაგან საქმეთა მინისტრი ვერაფერს შეცვლის?***

– დიახ. თუ შს მინისტრია კარგია, ხოლო ყველა დანარჩენი – ცუდი, ამ ერთი კარგი მინისტრის შედეგებიც ცუდი იქნება. აქედან გამომდინარე, როდესაც მთავრობა არის ქვეყანაში უნიათო და კორუმპირებული, ძალიან ეჭვი მეპარება, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის ქმედებებმა რამე პოზიტიური შედეგი გამოიღოს. მე ვფიქრობ, რომ გამოსავალი მთლიანად ხელისუფლების შეცვლაშია!

# „ივანიშვილი „ოცნებას“ ოპოზიციაში უშვებს“

შორენა მარსაგიშვილი

**რა ხდება სინამდვილეში თიანეთში, რისთვის ემზადება ყოფილი პრემიერი, რა ბედი ელით „ოცნების“ ჩინოსნებს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის ყოფილი წევრი გიორგი ჩიტაური ესაუბრება.**




**გიორგი ჩიტაური:**

– თიანეთი ჩემი მშობლიური რაიონია და კარგად ვიცი იქ არსებული ვითარება. ამ რაიონში რამდენჯერმე კენჭიც ვიყარე, ჯერ ნაციონალებს ვუპირისპირდებოდი, მერე – „ქართულ ოცნებას“.

ჩვენი საზოგადოება ახლა ბევრს საუბრობს თამაზ მეჭიაურისა და ზაქარია ქუცნაშვილის დაპირისპირებაზე. მე ჯერ კიდევ 2012 წელს გითხარით, რომ ეგენი, მართალია, ნათესავები არიან, მაგრამ ერთმანეთს ვერ იტანენ. ადრე რა დამოკიდებულება ჰქონდათ, ვერ გეტყვით, 2012 წელს კი მაჟორიტარობის გამო დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.



თამაზ მეჭიაურს ძალიან უნდოდა, „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი ყოფილიყო თიანეთში. მისი უპირატესობა თითქოს გამოიკვეთა, მაგრამ ქუცნაშვილი საკმაოდ ეშმაკი გამოდგა, ივანიშვილს თავი მოაწონა და მაჟორიტარად მისი კანდიდატურა იქნა დასახელებული.

ამაზე ძალიან გაბრაზდა მეჭიაური. ის საარჩევნო სიაში ჩაწერის შემდეგ დაშოშმინდა. 2016 წელსაც აპირებდა ქუცნაშვილთან ღია ომს, მაგრამ ივანიშვილმა გააჩერა. მან საკუთარი კანდიდატურაც კი მოხსნა. გასულ წელს ვითარება შეიცვალა, ივანიშვილი აღარ გადაეფარა ქუცნაშვილს და თამაზ მეჭიაური გახდა თიანეთის მერი.

***– ივანიშვილი თუ უჭერდა მხარს, რატომ გაჭირდა მისი გამარჯვების გაფორმება?***

– რა გაჭირდა? თქვენი აზრით, ივანიშვილის ნება რომ არ ყოფილიყო, მის საქმეს სასამართლო არც კი განიხილავდა. თავად ვმონაწილეობდი თვითმმართველობის არჩევნებში და ვიცი, რაც ხდებოდა. რამდენმა პარტიამ შეიტანა სარჩელი, მაგრამ, იმასაც კი ვერ მიაღწიეს, რომ ხმების ხელახალი გადათვლა მომხდარიყო. თიანეთში კი სხვანაირად მოხდა. დღეს თიანეთის მერი ოპოზიციონერია.

***– მერი კი არის, მაგრამ საკრებულო ბიუჯეტს არ უმტკიცებს და შესაძლოა თანამდებობის დატოვება მოუწიოს.***

– ეს ბუნებრივია. მას ებრძვის ქუცნაშვილი. ეს ადამიანი, ფაქტობრივად, მთელი მხარის გუბერნატორია და ყველა შესაძლებლობას იყენებს იმისთვის, რომ მოწინააღმდეგე ჩამოიშოროს.

***– მაშინ კიდევ გკითხავთ, თუ ივანიშვილი უჭერს მხარს მეჭიაურს, ქუცნაშვილი როგორ ბედავს მასთან დაპირისპირებას? ყოფილ პრემიერს ჩაუდგა ოპოზიციაში?***

– არა. ქუცნაშვილი ივანიშვილს ოპოზიციაში როგორ ჩაუდგება. მაგის გამოჩენის შემდეგ აიწყო ცხოვრება და აშენდა. მეჭიაურთან დაპირისპირებას იმიტომ ბედავს, რომ ივანიშვილმა თავისუფლად მოქმედების უფლება მისცა.

***– ივანიშვილის ინტერესი რა არის, თიანეთში საუკეთესოს გამოვლენა სურს?***

– ივანიშვილი სერიოზული ცვლილებებისთვის ემზადება. ის, რაც თიანეთში მოხდა, მალე მთელ საქართველოში გამეორდება. 2020 წელი ძალიან მალე მოვა. ყოფილი პრემიერი სერიოზულად ემზადება ხელისუფლების შესაცვლელად. მას გადაწყვეტილი აქვს, „ქართული ოცნება“ ოპოზიციაში გადაიყვანოს. ხელისუფლებაში ისევ თავის ხალხს მოიყვანს, ოღონდ, როგორც ოპოზიციონერებს.

***– „ოცნების“ ოპოზიციაში გაშვება რატომ გადაწყვიტა, აღარ ენდობა?***

– აღარც ენდობა და მათი ეშინია კიდეც.

***– რისი ეშინია?***

– არ უნდა, რომ ისინი მომძლავრდნენ, მის წინააღმდეგ წავიდნენ. ამის ალბათობა საკმაოდ მაღალია. ამიტომაც გადაწყვიტა მათი ნელ-ნელა ჩაჩოჩება. ამით ორ კურდღელს დაიჭერს – ახალი ხელისუფლებაც მისი იქნება და ოპოზიციაც.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ხელისუფლებამ რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა გააგრძელოს“

## თორნიკე შარაშენიძე: „მეწარმეების უდიდესმა ნაწილმა ვერ გაიგო, ევროკავშირის ბაზარზე თუ რა შეღავათებია და რა შეიძლება ამ ბაზრიდან მიიღონ“

ნათია ხურცილავა

**საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი, ჯიპას პროფესორი თორნიკე შარაშენიძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში „ენდიაის" მიერ გამოქვეყნებულ სოციოლოგიურ კვლევებზე საუბრობს.**

*– ბატონო თორნიკე, „ენდიაის“ სოციოლოგიური კვლევების მიხედვით ევროკავშირში გაწევრიანების მსურველთა რაოდენობის პროცენტული მაჩვენებელი **5%** არის შემცირებული. თუ მაისში ევროკავშირში გაწევრიანებას **65 %** უჭერდა მხარს, ამ გამოკითხვებში მხოლოდ **60 %**-ია მომხრე გაწევრიანების. ეს არის ტენდენციის მაჩვენებელი თუ შეიძლება რუსული პროპაგანდის ბუნებრივი შედეგია?*

– შეიძლება რუსული პროპაგანდის შედეგი იმდენად არ იყოს, რამდენადაც იმ პრობლემის შედეგი იყოს, რომელიც საქართველოს თავზე ჰკიდია და რომელიც საქართველოს მთავრობამ ჯერჯერობით ვერ დაძლია. ცხადია, ვგულისხმობ სიღარიბეს და სოციალურ პრობლემებს. მე უფრო ამას მივაწერდი ამ ცვლილებებს. ღარიბ ადამიანს, რომელსაც ოჯახის გამოკვების პრობლემა უდგას, არა აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ევროპაში იმოგზაუროს და საკუთარი თვალით ნახოს, რა არის ევროპა. ცხადია, ამ ადამიანს, რომელსაც მართლაც ძალიან უჭირს, ბეზრდება სულ იმის მოსმენა, რომ ევროპა კარგია, რომ ევროპაში მუშაობა კარგია. მოსმენას საკუთარი თვალით ნანახი ჯობია, თუმცა, ღარიბ მოსახლეობას, რომელიც დღევანდელი დღის გატანაზე ფიქრობს, ევროპაში მოგზაურობის შესაძლებლობა ნამდვილად არა აქვს. ეს არის პრობლემა.

***– ვიზალიბერალიზაციამ არ მოიტანა ის შედეგი, რაც უნდა მოჰყოლოდა?***

– რამდენმა იმოგზაურა, ეს არის მთავარი, ვინ შეძლო ევროპაში წასვლა და საკუთარი თვალით იმის ნახვა, რისთვისაც მივილტვით ევროპისკენ.

***– იანოშ ჰერმანი, ევროკავშირის ელჩი საქართველოში ამ მაჩვენებელს გამოეხმაურა, ის ამბობს, თუ ეს ტენდენცია გაგრძელდება, მაშინ ყურადღება იქნება გასამახვილებელი. ალბათ, ელჩი ამ განცხადებას ხელისუფლების მისამართით აკეთებს. უნდა იღონოს რამე ხელისუფლებამ?***

– ძალიან რთული სათქმელია, რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ? რა უნდა იღონოს? ერთი, რაც შეუძლია, არის ის, რომ რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა გააგრძელოს. თუმცა, ამ მხრივ აშკარად, ბევრად უფრო უკეთესად არასამთავრობო ორგანიზაციები მუშაობენ. არასამთავრობო ორგანიზაციები საკმაოდ ეფექტურად მუშაობენ პროპაგანდის წინააღმდეგ, მაგრამ იმ მთავარ პრობლემას, რომელზეც მე უკვე გესაუბრეთ, რომელი არასამთავრობო ორგანიზაცია მოუვლის და გადაჭრის? ცხადია, სიღარიბეს ვგულისხმობ, რომელიც ამ ქვეყნისთვის სერიოზული პრობლემა არის.

***– პრობლემატური საკითხების ნუსხაში უმუშევრობა, ამ კვლევაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.***

– უმუშევარ ადამიანს, რომელსაც სამუშაო არა აქვს, რას ეტყვი, ევროპაში რომ შევალთ, მერე იქნება ყველაფერი კარგად?! ეს დაახლოებით იგივეა, რომ უთხრა: კომუნიზმის აღდგენის შემდეგ იქნები კარგად. დაახლოებით ასე წარმოუდგენიათ მათ ეს ყველაფერი.

*– თუმცა, **29%**, რომელიც ამბობს, რომ მისთვის ევრაზიული კავშირი არის მისაღები, ეს რაზე მიანიშნებს? საიდან აქვს მას იმის რწმენა, რომ ევრაზიულ კავშირში უკეთესი მომავალი ელოდება?*

– აქედან ნახევარმა არ იცის, რა არის ევრაზიული კავშირი. მეორე ნახევარს კი მიაჩნია, რომ რუსული ბაზარი არის ხსნა. ასეთი წარმოდგენები კი იმის ბრალია, რომ ჯერჯერობით ჩვენი მეწარმეების უდიდესმა ნაწილმა ვერ გაიგო ევროკავშირის ბაზარზე თუ რა შეღავათებია და რა შეიძლება ამ ბაზრიდან მიიღონ. ჯერ მხოლოდ ბიზნესის მცირე ნაწილია, ვინც სარგებლობს ამ ბაზრით. საქართველოს, ევროკავშირმა ჯერ კიდევ 2001 წელს მისცა შეღავათები ევროკავშირის ბაზარზე. მე, მაშინ კვლევა ჩავატარე და აღმოვაჩინე, რომ ქართველი მეწარმეებიდან პრაქტიკულად არავის არ ჰქონდა ამ შეღავათების შესახებ



ინფორმაცია. ეს მეწარმეების სერიოზული პრობლემაა, როდესაც მეწარმე ამას ვერ იგებს, ვერ ითვისებს, ეს სერიოზული პრობლემაა. მეწარმემ უნდა შექმნას ბიზნესი და დაასაქმოს ხალხი, მაგრამ როდესაც მას ელემენტარული ინფორმაცია არა აქვს, ეს მაშინ სერიოზული პრობლემაა.

***– შეიძლება ამ კითხვის ადრესატი მთავრობაა, მაგრამ უფრო მეტი ინფორმაცია რატომ არ არის ამ მიმართულებით მთავრობის მხრიდან, რატომ არ არის შეხვედრები? მაგალითად, სამეგრელოში, რომელიღაც სოფელში გლეხმა შეიძლება სულ არ იცოდეს და ვერც ინტერნეტში მოიძიოს ინფორმაცია, თხილი რომ გაიტანოს ევროკავშირის ბაზარზე, რა შეღავათები აქვს.***

– დიახ, სწორედ ამას ვამბობ.

*– „ენდიაის“ კვლევებზე დაყრდნობით გამოკითხულთა უმრავლესობა, **41%** მიიჩნევს, რომ სამხედრო თვალსაზრისით რუსეთი უფრო ძლიერია, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები. რაზე დაყრდნობით შეიძლება ამ დასკვნას აკეთებდნენ ადამიანები?*

– ამერიკას უფრო ძლიერი შეიარაღებული ძალები ჰყავს, მაგრამ ერთია, რამდენად ძლიერი ობიექტურად, მაგრამ მეორეა – როგორია ძლიერის სუბიექტური აღქმა. სუბიექტურ აღქმაში ძალიან დიდ როლს თამაშობს შეიარაღებული სამხედრო ძალის გამოყენების მზადყოფნა, პოლიტიკური ნება, რომელიც რუსეთს გაცილებით უფრო მაღალი აქვს, ვიდრე ამერიკას. საბოლოო ჯამში, რა გამოუვა რუსეთს, ეს ერთი საკითხია, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი მზადყოფნა რუსეთს დღეს გაცილებით მაღალი აქვს, ვიდრე ამერიკას. ამას ემატება ისიც, რომ რუსული ბაზა ცხვირწინ არის და ამერიკული ბაზა ჩვენგან შორს არის. შესაბამისად აღქმაც ასეთია.

***– შესაძლებელია საბჭოური არმიის სიძლიერის გავლენაც იყოს?***

– რა თქმა უნდა, შესაძლებელია. ისე, აღიარებულია, რომ რუსული შეიარაღებული ძალა სიძლიერით ამერიკის შემდეგ მეორე ადგილზეა.

***– ამ კვლევებს მთავრობის ნაწილი ენდობა, ნაწილი არა, მაგალითად, სოზარ სუბარი ამბობს, რომ არ ენდობა. თუმცა, ვინც ენდობა, მათთვის რა გვიჩვენა ამ კვლევამ, რა სურათი დადო?***

– რაც შეეხება იმას, რომ „ენდიაის“ კვლევებს, „აირაის“ კვლევებს არ ვენდობი, ამაზე მე სერიოზულ კომენტარს ვერ გავაკეთებ. რაც შეეხება იმას, თუ რა სურათი დადო ამ კვლევამ და თუ რა გვიჩვენა, გვიჩვენა ის, რომ ვერც მთავრობა და ვერც საზოგადოების დიდი ნაწილი ჯერჯერობით ვერ სარგებლობს იმ შესაძლებლობებით, რა შესაძლებლობებიც ევროკავშირთან სიახლოვით გვაქვს.

# მირიან მირიანაშვილი: „ანაკლიის პორტი პოლიტიკური და ეკონომიკური ავანტიურაა“

მარიამ მჭედლიშვილი

**იწყება ანაკლიის პორტის მშენებლობა. ამ თემაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, საქართველოს გადარჩენის მოძრაობის ლიდერ მირიან მირიანაშვილს, რომელსაც მსხვილი გადაზიდვებისა და მსხვილი პორტის მშენებლობის სფეროში საქმიანობის გამოცდილება აქვს.**



**მირიან მირიანაშვილი:**

– საქართველოსთვის რომ ახალი მსხვილი პორტი აუცილებელია, ეს უდავოა. წვრილ კონტეინერულ გადაზიდვებს ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებიც უმკლავდებიან. უბედურება ისაა, რომ ანაკლიის პორტი ვერ იქნება წარმატებული პროექტი. უფრო მეტიც, ეს ეკონომიკური და პოლიტიკური ავანტიურაა, რომელიც სარისკოა საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის. სპარსეთის ყურეში, ბანდარ აბასში ვიყავი საერთაშორისო პროექტის კოორდინატორი. ჩვენ ვახორციელებდით გადაზიდვებს. მოგვიწია ახალი პორტის მშენებლობის დაწყებაც. ამიტომ გარკვეული ვარ, თუ რა ესაჭიროება ახალი პორტის აგებას. პორტის მშენებლობა მხოლოდ საინჟინრო სამუშაოები არაა. ეს არის სერტიფიცირება, ლოგისტიკა, გადამზიდავების მოზიდვა.

***– ანაკლიის ნავსადგურის მშენებლებმა ეს არ იციან?***

– დავიწყოთ იმით, რომ ყველა იმ კომპანიამ, რომელიც ცნობილია პორტების მშენებლობით, თავი შეიკავა ამ პროექტში ჩართვისაგან. სამუშაოებს ატარებს ჩვეულებრივი დეველოპერული კომპანია. შესაბამისი პროექტი, რომელიც კონსორციუმმა შეადგინა, კრიტიკას ვერ უძლებს. ამ კონსორციუმში დეველოპერულ კომპანიასთან ერთად თი ბი სი ჯგუფი შედის. ეს გეგმა პრიმიტიული და ხარვეზიანია. მასში ნახსენებია ირანიდან ტვირთების მოზიდვა. იგულისხმება ის ადგილები, სადაც მსხვილი კონტეინერული მეურნეობა არ არსებობს. სანამ ასეთ გეგმას დაწერ, ჯერ კონტრაქტებზე უნდა იზრუნო!

***– ანაკლია პოლიტიკური ავანტიურა რატომ არის?***

– კონფლიქტურ ზონასთან სიახლოვის გამო. მსხვილ საკონტეინერო გადაზიდვებს, მსხვილი გემების მოძრაობას ესაჭიროება სივრცე. გემებს

## „მსხვილი ნავსადგური უფრო სამხრეთით უნდა აშენდეს“

სჭირდებათ მანევრირება, შემოსასვლელი და გასასვლელი.

***– აფხაზეთის სიახლოვე ამ სივრცეს ზღუდავს?***

– რასაკვირველია. საფიქრელი გვაქვს, ექნებათ თუ არა აფხაზებს და მათთან ერთად რუსებს ტვირთების გატარების პოლიტიკური ნება და რას მოითხოვს სოხუმი სანაცვლოდ. ამან შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ჩვენს სახელმწიფოებრიობას.

***– შესაძლოა, რუსეთმა კიდევ ერთხელ მოითხოვოს კონფედერაციაზე დათანხმება?***

– მოთხოვნა შეიძლება უფრო რადიკალური იყოს. როცა ტვირთების მეპატრონეები, გადამზიდავები დაინახავენ, რომ კონფლიქტური ზონა ხელს უშლის პორტის ფუნქციონირებას, რადიკალურ მოთხოვნებს ისინი და მათი ლობიც წამოაყენებენ. ეს პარტნიორები მოითხოვენ აფხაზეთთან პოლიტიკური ხელშეკრულების დადებას და სოხუმისგან კორექტულ მოქცევას.

***– მსხვილი ღრმაწყლიანი პორტისათვის ადგილი არასწორად შეირჩა?***

– საამისოდ უფრო სამხრეთით არსებობს შესაფერისი ადგილები. ესაა ტერიტორია ფოთსა და ანაკლიას შორის. ამაზე რატომღაც არჩევანი არ გაკეთდა.

***– ახლა რაიმეს შეცვლა დაგვიანებულია? ახალ პორტს მომავალი არ აქვს?***

– რამდენჯერმე მივაწვდინე ხმა იმათ, ვისაც ეს ეხება. ყური არავინ დამიგდო. ამიტომ დავასკვენი, რომ ეს ხარვეზიანი და სარისკო პროექტი-ავანტიურა შეგნებულად ხორციელდება. ამით დაინტერესებულია პირთა ჯგუფი.

***– მათი მიზანი რა არის?***

– სარგებელი. შეიძლება პორტი თავიდან აამუშაონ კიდევაც, მაგრამ ეს არ იქნება არანაირი წარმატება და მოგება ქვეყნისათვის. წვრილ გადაზიდვებს ბათუმი და ფოთი ისედაც ახორციელებენ. ქვეყანას სხვა მასშტაბის პორტი ესაჭიროება. მისი აშენება სპეციალისტებმა უნდა იკისრონ, და არა – ჩვეულებრივმა მშენებლებმა, რომლებიც გაუგებარი პრიმიტიული გეგმით მოქმედებენ. ამას ემატება რისკები აფხაზეთიდან. სხვათა შორის, ანაკლიის თემაზე აფხაზები რუსეთის მითითებით ჯერ ხმას არ იღებენ, თუმცა, გადამწყვეტ მომენტში ამ მიმართულებით დარტყმას არ მოერიდებიან.

2018, 17 იანვარი, №13

# სახალხო დამცველმა სამართალდამცავებს მაჩალიკაშვილების ოჯახთან შუამავლობა შესთავაზა

## გარდაცვლილის მამა ვახტანგ გომელაურთან შეხვედრას ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია გუშინ, 16 იანვარს, პანკისის ხეობაში ჩავიდა და სპეცოპერაციისას მოკლული თემირლან მაჩალიკაშვილის ოჯახის წევრებს შეხვდა.

გარდაცვლილის მამა მალხაზ მაჩალიკაშვილი სუსის უფროს ვახტანგ გომელაურთან შეხვედრას ითხოვს.

– დამსვან პირისპირ გომელაურთან, რომ გამოტენა მთელი საქართველო ამ ტყუილებით. თვალებში შემომხედოს, მეც მაქვს შეკითხვები. ჩემი მოთხოვნაა, რომ გომელაურის ბანდიდან დაწყებული, სროლის სისრულეში მომყვანით დასრულებული, ყველა გაასამართლონ, – განაცხადა მალხაზ მაჩალიკაშვილმა.

ჟურნალისტებთან საუბარში მაჩალიკაშვილი ამბობს, რომ თუ საქართველოში ვერ იპოვის სამართალს, სტრასბურში წავა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართავს.

მაჩალიკაშვილს იმედი აქვს, რომ საქმის სტრასბურამდე მიტანაში მას სახალხო დამცველი დაეხმარება.

– აქ გასაქანს არ მომცემენ, მთავრობამ ყველაფერი ტყუილზე ააგო. ჩემი ძირითადი მიზანია, სტრასბურამდე მივიტანო ეს საქმე, დავამტკიცო ჩემი და ჩემი ვაჟის სიმართლე და დამნაშავეები აუცილებლად უნდა დაისაჯონ, დაწყებული გომელაურიდან, ყველა, ვინც ამ საქმეში მონაწილეობდა. სახალხო დამცველის დახმარება იმაში დამჭირდება, რომ სტრასბურამდე გაიტანოს ეს საქმე, – უთხრა ჟურნალისტებს გარდაცვლილის მამამ.

მაჩალიკაშვილებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ ნინო ლომჯარიამ მედიისთვის კომენტარი გააკეთა. მან სამართალდამცავებს გარდაცვლილის ოჯახთან შუამავლობა შესთავაზა.

– ოჯახსაც შევთავაზე და საჯაროდაც მინდა გავაკეთო შეთავაზება გამოძიების მისამართით, რომ ჩვენ გარკვეული შუამავლისა თუ ხიდის როლი შევასრულოთ, რომ მაქსიმალურად იყოს მიწოდებული ოჯახისთვის ის ინფორმაცია, რომლის მიწოდებაც შეიძლება, რადგან ამ ადამიანებს გააჩნიათ ძალიან დიდი უსამართლობის გრძნობა. ვფიქრობ, გამოძიებამ მათ გარკვეულ კითხვებზე პასუხი უნდა გასცეს, – აღნიშნა ინტერპრესნიუსთან საუბარში ნინო ლომჯარიამ.

ის ამბობს, რომ ჩატარებულ სპეცოპერაციაზე მასაც აქვს კითხვები და ამ საქმეზე სათანადო ინფორმაციაც გამოითხოვეს.



– რა თქმა უნდა, ის კითხვები, რომლებიც ოჯახის წევრებს უჩნდებათ, გვიჩნდება ჩვენც. ჩვენ გამოთხოვილი გვაქვს ინფორმაცია, თუმცა არ ვიცით, რამდენად მოგვეცემა გაცნობის საშუალება, – განაცხადა სახალხო დამცველმა.

ნინო ლომჯარიამ კიდევ ერთხელ მოითხოვა, რომ მას, როგორც სახალხო დამცველს, კონფიდენციალურობის დაცვით, თუნდაც ადგილზე საქმის მასალების გაცნობის საშუალება მიეცეს.

– ოჯახმა გაიხსენა სპეცოპერაციის ღამის დეტალები. მათ აქვთ შეკითხვები თემირლანის დაჭრის საქმესთან და ასევე საძინებელ ოთახში ხელყუმბარის არსებობასთან დაკავშირებით, შეკითხვები, რომლებზეც პასუხის გაცემას მაჩალიკაშვილები მოკლე ვადებში ითხოვენ, – აღნიშნა ლომჯარიამ.

პანკისში სახალხო დამცველის ჩასვლამ უფლებადამცველი ნიკოლოზ მჟავანაძე გააღიზიანა. მისი თქმით, ამით ხეობაში სიტუაცია დაიძაბება.

– ნაცების, სოროსის ასოებისა და ტელევიზიების მიზანი: პანკისში შეიქმნას დაძაბულობის ახალი კერა, რის შემდეგაც უნდა მოხდეს ხელისუფლების ჩამოგდება რევოლუციური სცენარით. ნინო ლომჯარიას დღევანდელი ვიზიტიც პანკისში ამ მიზანს ემსახურება. ლომჯარიაზე რომ ვენებზე იჭრიდნენ, ის დეპუტატები მომინიშნეთ. რატომ არ იღებთ პასუხისმგებლობას ამ ანტისახელმწიფოებრივი პერსონის დანიშვნის გამო, – აცხადებს ნიკოლოზ მჟავანაძე.

მის მიერ შერისხული ნაციონალური მოძრაობა პარლამენტში თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეზე საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვს. ამის შესახებ პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა სალომე სამადაშვილმა ტვ პირველის ეთერში განაცხადა.

– ჩვენ ვითხოვთ საგამოძიებო კომისიის შექმნას, გაეცეს ყველა კითხვას პასუხი მაჩალიკაშვილის მკვლელობასა და პანკისში ჩატარებულ სპეცოპერაციაზე, მაგრამ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც ლეტალური შედეგით სრულდება პოტენციური მოწმისა თუ ეჭვმიტანილის დაკავების მცდელობა, აქ წარმატებულ ოპერაციაზე საზოგადოების დაცინვაა! მაშინ უნდა აღიაროს სახელმწიფომ, რომ მათი მიზანი ამ ადამიანების ლიკვიდაცია იყო. აუხსნას საზოგადოებას, რას უკავშირდება ეს ლიკვიდაცია, – აღნიშნა სამადაშვილმა.

ის იმ საფრთხეებზეც საუბრობს, რომლებიც საქართველოს გარედან ემუქრება.

– ბოლო 20 წლის განმავლობაში თუ ვინმეს ინტერესებში შედის დესტაბილიზაცია და მათ შორის ტერორისტული საფრთხის გაზრდა, ეს მუდამ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელია, რომელიც მუდამ ანტიტერორისტულ საფარქვეშ ცდილობს, შემოიპაროს საქართველოს უშიშროების სისტემაში. ამიტომ მე არ შემიძლია გამოვრიცხო, რომ ჩატაევის დაბრუნებაში ეს არის რუსეთის სპეცსამსახურების ძალიან სერიოზული თანამონაწილეობა.

თუ ეს ადამიანი, რომელიც მოკლეს პანკისში, ატარებდა მნიშვნელოვან ოპერაციას და არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებსაც დაეხმარებოდა იმაში, თუ რატომ დადგა ტერორიზმის გაძლიერება ჩვენს ქვეყანაში და ამ დროს ეს ადამიანი ლიკვიდირებულ იქნა, იმის ნაცვლად, რომ მისგან მიგვეღო, მაშინ საქმე გვაქვს ძალიან მძიმე სიტუაციასთან ჩვენი ქვეყნის უშიშროებისა და უსაფრთხოების სისტემაში. ეს არის პირდაპირი ინფილტრაცია ჩვენი ქვეყნის სისტემის, რომელიც, როგორც ჩანს, თანამშრომლობს დანაშაულის მიმალვის მიზნით შესაბამის სამსახურებთან, – აღნიშნა ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა.

* * *

26 დეკემბრიდან მოყოლებული, დღემდე, პანკისში ტერორიზმის ხელშეწყობის ბრალდებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა 5 პირი დააკავა. სუსი თემირლან მაჩალიკაშვილსაც ახმედ ჩატაევისა და მისი ჯგუფის წევრების დახმარებაში ადანაშაულებდა, თუმცა მისთვის ბრალი არ წაუყენებიათ.

# თურქეთის საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული რეგულაციები საქართველოს მოქალაქეებზე დროებით არ გავრცელდება



შსს-ს ინფორმაციით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიასა და თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრ სულეიმან სოილუს შორის სატელეფონო საუბარი შედგა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ თურქეთის სახელმწიფო საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით, 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებულ რეგულაციებთან დაკავშირებით საქართველოსა და თურქეთის შესაბამისი უწყებები გააგრძელებენ კონსულტაციას, რომლის დასრულებამდეც აღნიშნული რეგულაციები საქართველოს მოქალაქეებზე არ გავრცელდება.

ასევე მხარეებმა ისაუბრეს მიმდინარე წლის დასაწყისში საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის დაგეგმილ ვიზიტთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებშიც ასევე განხილული იქნება თანამშრომლობის საკითხები, მათ შორის საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით.

# ხმაური საკრებულოს სხდომაზე – ლევან ხაბეიშვილსა და თემურ გორგაძეს შორის სიტყვიერი შელაპარაკება მოხდა



ნაციონალური მოძრაობის წევრ ლევან ხაბეიშვილსა და საკრებულოს უმრავლესობის წევრ თემურ გორგაძეს შორის სიტყვიერი შელაპარაკება მოხდა.

გორგაძემ ხაბეიშვილი და მისი თანაგუნდელები შოუს დადგმაში დაადანაშაულა, რადგან მან საკრებულოს სხდომაზე სოციალურად დაუცველი ქალბატონი მიიყვანა, რომელსაც უფასო სასადილოს პროგრამით სარგებლობის უფლება შეუჩერდა. დეპუტატებს შორის შელაპარაკება ნაციონალური მოძრაობის მიერ საკრებულოს სხდომის დატოვების შემდეგ მოხდა. აღნიშნულ საკითხს ასევე გამოეხმაურა უმრავლესობის წევრი ჯაბა ჯიშკარიანი და „ნაციონალურ მოძრაობას“ „ქვეყნის განვითარების მუხრუჭები“ უწოდა.

– ისინი არიან მუხრუჭები კარგი საქმის კეთებისა და ქვეყნის განვითარების. რადგან კარგ საქმეს „ქართული ოცნება“ აკეთებს, მათთვის მიუღებელია, მუდმივად კრიტიკის პროცესში არიან და შოუების მოწყობას ცდილობენ. ამ შოუს ერთ-ერთ შემადგენელი ნაწილი დღეს საკრებულოს სხდომაზე ვიხილეთ, როდესაც საკრებულოს ოპოზიციამ დატოვა საკრებულოს სხდომა და წარმოადგინა სოციალურად დაუცველი ქალბატონი, რომელსაც უფასო სასადილოს პროგრამით სარგებლობის უფლება ჩამოერთვა. ჩვენ ოპოზიციისგან განსხვავებით ეს ადამიანები კამერების წინ არ გამოგვყავს და არც არასდროს გამოგვყავდა. ჩვენი მთავარი ფუნქციაა მათ გავუწიოთ შუამდგომლობა კონკრეტულ სამსახურებში, – განაცხადა დეპუტატმა.

კითხვაზე, თუ რატომ შეუჩერდა უფასო სასადილოს პროგრამით სარგებლობის უფლება, ჯიშკარიანმა განაცხადა, რომ მის საკითხს შეისწავლიან.

– ამ ქალბატონს, როგორც ჩვენ ვიცით, ოჯახის წევრი ჰყავს გარდაცვლილი. სახელმწიფოსგან ის დახმარებას იღებს 1.000 ლარის ოდენობით, სხვა ინფორმაცია მოკვლევის ეტაპზეა, – განაცხადა ჯიშკარიანმა.

# პრეზიდენტი საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებით განხორციელებულ ცვლილებებში კორუფციის საფრთხეს ხედავს



პრეზიდენტი სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებით განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებში კორუფციის საფრთხეს ხედავს და აცხადებს, რომ ის ეწინააღმდეგება როგორც ასოცირების ხელშეკრულების სულისკვეთებას, ისე კორუფციასთან ბრძოლის ეროვნულ სტრატეგიას.

საუბარია პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტის იმ ნაწილზე, რომლის მიხედვით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონი არ გავრცელდება დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებულ პროგრამაზე, რომლებსაც საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერის არანაკლებ 25% დაეთმობა. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონით დადგენილი შეზღუდვები ასევე არ გავრცელდება საზოგადოებრივ მაუწყებლის ეთერით გადასაცემი გადაცემების, ფილმების, სერიალების დამზადების მომსახურების შესყიდვაზე.

პრეზიდენტის შეფასებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონიდან გასვლა მნიშვნელოვნად გაზრდის კორუფციის რისკს და მის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობას შეასუსტებს.

აღნიშნულ ცვლილებას პრეზიდენტი პარლამენტში გაგზავნილ მოტივირებულ შენიშვნებში „გაუმართლებელს“ უწოდებს და აცხადებს, რომ ეს არის უკან გადადგმული ნაბიჯი იმ გზაზე, რომელზეც საქართველომ არაერთი ავტორიტეტული წყაროს თანახმად, მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია.

პრეზიდენტის მოტივირებულ შენიშვნებში ხაზგასმულია, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონი ემსახურება ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანების უზრუნველყოფას, როგორიცაა: რაციონალური ხარჯვა, არადისკრიმინაციული მიდგომა, თანასწორი მოპყრობა, საჯაროობა, სანდოობის ჩამოყალიბება. პრეზიდენტის განცხადებით, კანონი ასევე მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან გარანტიებს სახელმწიფო შესყიდვებთან მიმართებით, როგორებიცაა ინტერესთა კონფლიქტის რეგულირება, გასაჩივრების უფლება და სხვა.

მოტივირებულ შენიშვნებში ნათქვამია, რომ პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტში არანაირი, მინიმალური გარანტიაც კი, რომ შესყიდვების პროცესში ეს პრინციპები დაცული იქნება, მოცემული არ არის.

– ხდება სახელმწიფო შესყიდვების ნაწილის არა მხოლოდ კონკრეტული კანონის მოქმედების ჩარჩოდან გამოყვანა, არამედ ამ ტიპის სახელმწიფო შესყიდვების გამოყვანა უმნიშვნელოვანესი პრინციპების მოქმედების სფეროდანაც, რაც გაუმართლებელია. კომიტეტის დასკვნის მიხედვით, ამ ტიპის შესყიდვების გამოყვანა სახელმწიფო შესყიდვების კანონის რეგულირების სფეროდან გამომდინარეობს 2014/24/EU დირექტივიდან. მიგვაჩნია, რომ საქართველოს ევროპასთან ინტეგრაცია, მათ შორის, კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროპულ სტანდარტებთან, უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ამოცანაა. აღსანიშნავია, რომ თავად 2014/24/EU დირექტივის ტექსტიდან გამომდინარე, ნებისმიერი გამონაკლისი, რომელსაც ეს დირექტივა უშვებს, უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ სტანდარტებს, როგორებიცაა: თანასწორობა, სამართლიანობა და გამჭვირვალობა. თუმცა, შემოთავაზებულ კანონპროექტში არანაირი, მინიმალური გარანტიაც კი, რომ შესყიდვების პროცესში ეს პრინციპები დაცული იქნება, მოცემული არ არის.

საქართველოს ანტიკორუფციული სტრატეგიის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვები არის კორუფციისადმი ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი სფერო. შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გამართული ფუნქციონირება უმნიშვნელოვანესია ქვეყნის სტრატეგიული განვითარებისთვის, ვინაიდან ეფექტიანი სახელმწიფო შესყიდვების სისტემის საშუალებით შესაძლებელია დაიზოგოს საჯარო სახსრები და თავიდან იქნეს აცილებული საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივი, არაეკონომიური ხარჯვა. ქვეყნის გრძელვადიანი მიზნებია: სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის დახვეწა, გამჭვირვალობის მაღალი დონის შენარჩუნება, სახელმწიფო შესყიდვების პროცესში არადისკრიმინაციული მიდგომისა და ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველყოფა, კორუფციული რისკის მინიმუმამდე დაყვანა. შესაბამისად, ნათელია, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი მნიშვნელოვნად გაზრდის კორუფციის რისკს და შეასუსტებს მის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობას, რაც ეწინააღმდეგება სახელმწიფოს პოლიტიკას კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით და უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება იმ გზაზე, რომელზეც საქართველომ, არაერთი ავტორიტეტული წყაროს თანახმად, მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. ამგვარად, გაუმართლებლად მიგვაჩნია, სახელმწიფო შესყიდვების ერთი ნაწილი გამოვიდეს არსებული რეგულაციების სფეროდან ისე, რომ კანონმდებლობით არ იყოს დადგენილი ის მინიმალური სტანდარტებიც კი, რომლებიც ამ შემთხვევაში უნდა იყოს დაცული. ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება, როგორც ასოცირების ხელშეკრულების სულისკვეთებას, ისე კორუფციასთან ბრძოლის ეროვნულ სტრატეგიას, – ნათქვამია პარლამენტში წარდგენილ მოტივირებულ შენიშვნებში.

კანონპროექტის საკუთარ ვარიანტში პრეზიდენტი პარლამენტს იმ საკანონმდებლო ვალდებულების შენარჩუნებას სთავაზობს, რომლის მიხედვით, საზოგადოებრივი მაუწყებელი ტელერადიოპროდუქციასა და მასთან დაკავშირებულ მომსახურებას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის შესაბამისად შეისყიდის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესყიდვა არარეზიდენტი პირისგან ხორციელდება.

# „უშველებელ დანამომარჯვებულმა პრივილეგირებული ოჯახის შვილმა ჩვენი დაცვის უფროსი და დაცვის წევრები სასიკვდილოდ გაიმეტა“

## რა მოხდა თბილისის კლუბ „ბასიანში“

**თბილისში, კლუბ „ბასიანში", 13 იანვარს მომხდარ ინციდენტს საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ამ დღეს კლუბში დაცვის ორი თანამშრომელი და დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს მე-4 განყოფილების უფროსის მოადგილე დაჭრეს.**

მოგვიანებით სასამართლომ ბრალდებული, 27 წლის თამაზ ქვლივიძე, რომელიც ბიზნესმენ პაატა ქვლივიძის შვილია, 30.000-ლარიანი გირაოთი გაათავისუფლა.

მოსამართლე, რომელმაც ეს გადაწყვეტილება მიიღო, ბადრი შონიაა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ისეთ გახმაურებულ საქმეებს განიხილავს, როგორებიცაა ციანიდის, ივანე მერაბიშვილის, ბანკი „ქართუს“ გაკოტრების, „რეპერების საქმე“.

შონია განიხილავდა 7 ნოემბრის საქმეზე უგულავას, ადეიშვილის, კეზერაშვილისა და მერაბიშვილის საქმეებს.

* * *

„ბასიანის“ დამფუძნებელი ნაჯა ორაშვილი აცხადებს, რომ ბრალდებულმა დაცვის წევრები და პოლიციის თანამშრომელი იმის გამო დაჭრა, რომ მას კლუბში შესვლაზე უარი უთხრეს.

„13 იანვარს, უშველებელ დანამომარჯვებულმა ერთ-ერთი პრივილეგირებული ოჯახის შვილმა მას შემდეგ, რაც კლუბის ტერიტორიაზე შეშვებაზე უარი განეცხადა, ჩვენი მთავარი საყრდენი, ჩვენთვის ყველაზე საყვარელი დაცვის უფროსი და დაცვის წევრები სასიკვდილოდ გაიმეტა, ასევე რამდენიმე ჭრილობა მიაყენა დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს განყოფილების უფროსის მოადგილეს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ახალგაზრდა ადამიანმა სისხლიანი პარასკევი „ფეისკონტროლის“ სწორი გადაწყვეტილების გამო მოაწყო.

სამი დღე ვდუმდი. იმედი მქონდა, საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებობდა იოტისოდენა სამართალი, მაგრამ დღეს დილით მოსამართლემ სამი უმძიმესი მუხლით ბრალდებული ადამიანი გირაოთი გაათავისუფლა! – გირაოთი გაათავისუფლა პოტენციური მკვლელი, რომელიც ქუჩაში დადის.

ოჯახი კმაყოფილია, დაგვიმტკიცეს, რომ მათი პრივილეგიები საქართველოს კონსტიტუციაზე და, ზოგადად, ჭეშმარიტებაზე მაღლა დგას. არასდროს ყოფილა ადამიანების დასჯა ჩემი მოწოდება, მაგრამ, როგორ გინდა, უსამართლობის განცდა არ დაგეუფლოს, როცა ახალ წელს რუსთავის საპყრობილესთან ყოფნისას გისოსებიდან მიკროგრამებზე წლობით გამომწყვდეული ადამიანების შეძახილებს ვისმენდი.

სოლიდარობას ვუცხადებ უძვირფასეს დაცვის წევრებსა და ყველა უსამართლოდ დაჩაგრულ ადამიანს. მოძალადესა და მის ოჯახს ვპირდები, რომ სისხლის ბოლო წვეთამდე ვიბრძოლებ და არავის შევარჩენ იმ კეთილშობილ ადამიანებზე ძალადობას, რომლებიც ჩვენს უსაფრთხოებას წლების განმავლობაში პირნათლად იცავენ.

ამ საქმეს ბოლომდე მივიყვან, მაგრამ თქვენ, ფინანსებსა და სტატუსს ამოფარებულო ოჯახის წევრებო და სასამართლო სისტემავ, თქვენ უნდა გრცხვენოდეთ, რომ სამართალი ფეხქვეშ გათელეთ. ახლა არ შეილახა პოლიციელის მუნდირი?“ – წერს ნაჯა ორაშვილი.







### პაატა ქვლივიძე: „თვითონ შეუცვივდნენ და ამ ჭიდაობაში იქნევდა თავდაცვის მიზნით, ალბათ. მე მას არ ვამართლებ“

ინციდენტის დროს დაჭრილი ზვიად მესხის მეუღლე ქეთი კალანდარიშვილი აღნიშნავს, რომ თავს დაცულად არ გრძნობს.

„ამ გამწარებულ გულზე ერთი სიმღერა მახსენდება, „მთავარია, გქონდეს ფული, რომ არ იყო დაჩაგრული“ და თუ ფული თავზე საყრელად გაქვს, შეგიძლია, ადამიანიც გაწირო. ხუთი შვილის მამა და კიდევ ორი ადამიანი მხოლოდ იმისთვის დაჭრა სასიკვდილოდ, რომ მის გართობას ვიღაცამ ხელი შეუშალა.



ეს ჩემი მეუღლეა, რომელიც სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს და მადლობა ღმერთს. თუმცა პოტენციური მკვლელი თბილისის ქუჩებში ისევ მშვიდად დადის, რადგან 30.000 გადაიხადა და გაათავისუფლეს.

ამის შესახებ არაფერი მითქვამს, რადგან იმედი მქონდა სამართალდამცველებისა და მთავრობის, თუმცა ახლა ძალიან დაუცველად ვგრძნობ თავს“, – წერს კალანდარიშვილი.

* * *

მომხდარს თამაზ ქვლივიძის მამა, პაატა ქვლივიძეც გამოეხმაურა.

– რა ვქნა, მოსამართლემ ასე ჩათვალა საჭიროდ და გამოუშვა, მე არავისთვის მითხოვია, არ მყავს პატრონი, რომ ვიღაცები ჩამერია, – უთხრა პაატა ქვლივიძემ „პალიტრანიუსს“.

მისი თქმით, სიმართლეს არ შეესაბამება გავრცელებული ინფორმაცია, რომ ის მოსამართლის გადაწყვეტილებაში რაიმე ფორმით ჩაერია.

– ვიღაცა რაღაცას დაწერს, ასე არ შეიძლება. ჯერ ერთი, არსად ვმუშაობ, უმუშევარი ვარ. ვმუშაობდი და გაუქმდა ჩვენი სამსახური და უკვე წელიწად-ნახევარია, უმუშევარი ვარ. მეგობრებმა რაღაც შევაგროვეთ და გირაო შევიტანეთ. არც ველოდით. მოსამართლემაც რომ დაინახა ჩემი შვილი, მიხვდა ალბათ, რომ წესიერი ადამიანია, არ არის მკვლელი და გაითვალისწინა ყველაფერი.

გამოძიება მიმდინარეობს და გამოიძიებს ყველაფერს. არც მე და არც ჩემი შვილი არ გავექცევით არაფერს. ჩვეულებრივ ჩაბარდება კიდეც და ჩვეულებრივ მოხდება ყველაფერი. რა ვქნა, მოსამართლემ ასე ჩათვალა საჭიროდ და გამოუშვა. მე არავისთვის მითხოვნია. არ მყავს პატრონი, რომ ვიღაცები ჩამერია. მე თვითონ უმუშევარი ვარ. რაღაც „თოლიას“ წილი მაქვს, თუმცა ვალებისკენ მიდის ყველაფერი. მე არც ოლიგარქი ვარ, არც „ოცნების“ წევრი, – განაცხადა პაატა ქვლივიძემ.

ბრალდებულის მამა აცხადებს, რომ ინციდენტისა და შეკამათების გამომწვევი არა მისი შვილი, არამედ მეორე მხარე იყო.

– მესმის, რომ არ უნდა მომხდარიყო ეს ყველაფერი, თუმცა, ყველას მოსდის რაღაც შეცდომა. ახალგაზრდები, იცით, როგორც არიან. ყველა არ არის ერთნაირი და სხვადასხვანაირად აღიქვამენ. ამათგან არ არის დაწყებული, დაწყებულია იმათი მხრიდან. გვაპატიონ, ვეუბნებით და შევუთვალე კიდეც. ამ ბიჭმაც თქვა, არ უნდა მომექნიაო, მაგრამ მოხდა. ხდება ყველაფერი, თუმცა არ არის ჩემი შვილი მკვლელი და ნაძირალა. ის არც კლუბებში დადის.

თვითონ შეუვარდნენ და ამ ჭიდაობაში იქნევდა თავდაცვის მიზნით, ალბათ, მე მას არ ვამართლებ. თვითმხილველები მოვიდნენ ჩემთან. მათ მითხრეს, რომ მას მაგრად სცემდნენ, ძირს ეგდო და ურტყამდნენო.

რაც მქონდა სამსახური, 2009-დან ისიც გამიუქმეს და რანაირად ვარ „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული?! მეღვინე ვარ სპეციალობით, მაქვს ღვინის ქარხანა, რომელიც დაკეტილია და არ მუშაობს. ასე ამბობენ, რომ ოლიგარქი ვარ და ზარალაა მაგის პატრონიო, ჩემი და მუშაობს ზარალასთან ჩვეულებრივ რიგითად, ეგ რა შუაშია, ზარალა როგორაა ჩემი პატრონი, – განაცხადა ბიზნესმენმა.

* * *

მოგვიანებით კლუბ „ბასიანთან“ მომხდარ სისხლიან გარჩევაზე შსს-მ განცხადება გააკეთა.

– გვსურს, გამოვეხმაუროთ ღამის კლუბ „ბასიანთან“ მომხდარი ინციდენტის დროს ჩვენი თანამშრომლისა და კლუბის დაცვის 2 წევრის დაჭრის ფაქტს. კერძოდ, ბრალდებულმა დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს მე-4 განყოფილების უფროსის მოადგილეს მიმდინარე წლის 13 იანვარს ცივი იარაღით სხეულზე დაზიანება მიაყენა. ინციდენტის დროს ბრალდებულმა ასევე დაზიანებები მიაყენა კლუბ „ბასიანის“ დაცვის ორ თანამშრომელს. საგულისხმოა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი დაიჭრა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, კერძოდ, მაშინ, როდესაც თავდასხმის დროს კლუბის ორ თანამშრომელს იცავდა.

ჩვენ შესაბამის რეაგირებას ვახდენთ ძალადობის ყველა ფაქტზე. შესაბამისად, კანონით ჩვენს ხელთ არსებულ ყველა შესაძლებლობას გამოვიყენებთ დაზარალებულების, მათ შორის, იმ ადამიანების დასაცავად, ვინც უშუალოდ ზრუნავს ჩვენს უსაფრთხოებაზე. ბრალდებულის დაკავება მოხდა დანაშაულის ადგილზე. მას ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლით. პროკურატურამ აღკვეთის ღონისძიების სახით მოითხოვა პატიმრობა და თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, გირაოს გამოყენების შესახებ, სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. სამართალდამცავმა ორგანოებმა გამოიყენეს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა საშუალება, – განაცხადა შს მინისტრის მოადგილე ნათია მეზვრიშვილმა.

* * *

არასამთავრობოები კლუბ „ბასიანის“ დაცვის წევრების დაჭრისთვის ბრალდებულის გათავისუფლებას შეისწავლიან.

# კახა კალაძე: „თბილისში რკინიგზა უნდა იყოს თუ არა შემოვლითი, კვლევის შედეგად უნდა გადაწყდეს“

თბილისის მერ კახა კალაძის განცხადებით, როგორი უნდა იყოს თბილისში რკინიგზა და უნდა იყოს თუ არა ის შემოვლითი, კვლევის შედეგად უნდა გადაწყდეს.

როგორც კახა კალაძემ ჟურნალისტებს შემოვლითი რკინიგზის პროექტთან დაკავშირებით დასმული კითხვის საპასუხოდ განუცხადა, აღნიშნული კვლევა „საქართველოს რკინიგზამ“ უნდა ჩაატაროს.

– საუბარი იყო რამდენიმე მიმართულებაზე. კერძოდ, მთლიანად უნდა გადავიდეს თუ არა ქალაქიდან რკინიგზა როგორც სამგზავრო, ასევე სატვირთო ნაწილი, თუ უნდა დარჩეს სამგზავრო და გადავიდეს მხოლოდ სატვირთო. მგონია, რომ ამას სჭირდება კვლევა და კვლევის შედეგად უნდა გვქონდეს პასუხი, თუ როგორი პროექტი უნდა განხორციელდეს. კვლევა უნდა ჩაატაროს რკინიგზამ და არა მერიამ, – განაცხადა კალაძემ.

ცნობისთვის, თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, დედაქალაქიდან რკინიგზა უნდა გავიდეს და მის ადგილზე მაგისტრალი უნდა გაკეთდეს.

როგორც გენგეგმის ავტორები აღნიშნავენ, თბილისში არსებული რკინიგზის მაგისტრალი ართულებს შიდასაქალაქო განივ კავშირებს. მათივე განცხადებით, შეჩერებული სამუშაოების გაგრძელებისა და რკინიგზის გადატანის შემთხვევაში, დედაქალაქში სატრანზიტო მოძრაობა შემცირდება, გაუმჯობესდება ეკოლოგიური მდგომარეობა და გამოთავისუფლებული ტერიტორია უფრო ეფექტურად იქნება გამოყენებული.

გენგეგმის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი წინადადების მიხედვით, რკინიგზის მეურნეობისგან გამოთავისუფლებული 72 ჰა ფართობის ტერიტორიის განვითარებითი ფუნქციური მიმართულებები პროცენტულად ასეა გადანაწილებული: სატრანსპორტო 15-20%, სარეკრეაციო/გამწვანება 60 -70%, სხვა 10-25%, – წერია დოკუმენტში.

თუმცა, თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ გენგეგმის შენიშვნების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ რკინიგზის საკითხზე შესაბამისი კვლევა არ ჩატარებულა, აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი მიიჩნევს, რომ რკინიგზის სამგზავრო ხაზის გაუქმების შეფასება ცალმხრივია და უგულებელყოფს გამჭოლი სამგზავრო რკინიგზის ხაზის და ცენტრალური სადგურის სატრანსპორტო მნიშვნელობას. ასევე, რკინიგზის სამგზავრო მონაკვეთის (დიდუბე-სამგორი) გაუქმების გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული.

მერიის განცხადებით, ასეთი სტრატეგიული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის საკითხისათვის საჭირო კვლევები არ არის ჩატარებული. მოყვანილი არგუმენტები არის ცალმხრივი – რკინიგზის არსებობის მხოლოდ უარყოფითი მხარეები და გადატანის დადებითი მხარეები.

როგორც შენიშვნების დოკუმენტშია აღნიშნული, რკინიგზის სამგზავრო დეპოს არარელევანტურობის შეფასება დაუსაბუთებელია.



# მთავრობის 620-გვერდიანი დადგენილება ცუდი ენით არის ნათარგმნი და მისი გაგება რთულია



2017 წლის 1-ლი იანვრიდან საქართველოში ტექნიკური რეგლამენტი – „შენობანაგებობის უსაფრთხოების წესები“ ამოქმედდა. მთავრობის 620-გვერდიან დადგენილებაში საუბარია უსაფრთხოების მისაღწევად საჭირო მინიმალურ მოთხოვნებზე, როგორიცაა გასასვლელების სათანადოდ დაპროექტება, ხანძრისა თუ სხვა საფრთხეებისგან დაცვა, კიბეებისა თუ ლიფტების შესაბამისი წესების დაცვით მოწყობა და ა.შ.

თუმცა, რეგლამენტის ამოქმედებიდან ერთი წლის შემდეგ დეველოპერები მშენებლობის ნებართვების „გაჭედვასა“ და უძრავი ქონების გაძვირებაზე საუბრობენ. სამშენებლო სექტორის წარმომადგენლების თქმით, რეგლამენტის მიღება აუცილებელი და საჭირო იყო, თუმცა ყველა წესის ერთდროულად ამოქმედებამ ბაზარზე გარკვეული პრობლემები შექმნა.

როგორც გერმანული სამშენებლო-დეველოპერული კომპანია „ბაუსტარის“ წარმომადგენელმა, მალხაზ სოლომნიშვილმა „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა, ახალი რეგლამენტით თბილისში ჯერ მშენებლობა არ არის დასრულებული. მისივე თქმით, რეგლამენტი საკმაოდ რთული ენითაა დაწერილი და მისი გაგება ძნელია.

– დოკუმენტი რთულად არის დაწერილი და ვფიქრობ ბევრ არქიტექტორს ძალიან გაუჭირდება მისი გაგება. უფრო მარტივად და გასაგებად გაკეთებაც შეიძლებოდა, თუმცა, ალბათ, გადათარგმნა უფრო მარტივი იყო. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში ძალიან მცირეა იმ ექსპერტთა რიცხვი, რომლებიც რეგლამენტში ერკვევიან და შესაბამისი დასკვნის გაკეთება შეუძლიათ. რაც შეეხება ზოგადად ამ ტექნიკური რეგლამენტის საჭიროებას, მართალია, საქმიანობა გაგვიძვირა, თუმცა ვფიქრობ, ამ დოკუმენტის მიღება საჭირო და აუცილებელი იყო. რაც შეეხება ფასებს, მაგალითად 50 კვადრატული მეტრის ბინა შესაძლოა, დაახლოებით 2000-3000 ლარით გაძვირდეს, მაგრამ თუ ამით 1 ადამიანის სიცოცხლე მაინც გადარჩება, ვფიქრობ, ეს თანხა არაფერია და ნამდვილად ღირს, – აღნიშნა სოლომნიშვილმა.

მანვე მერიაში არსებულ კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემაზეც ისაუბრა, რომელიც ბიზნესს ხელს უშლის. კერძოდ, როგორც სოლომნიშვილმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, პროექტების შეთანხმება დროში უსაშველოდ ჭიანურდება და ამ მხრივ ძალიან მძიმე ვითარებაა.

– მერიის ზოგიერთ სამსახურს წერილზე პასუხის გაცემის ვადად ერთი თვე აქვს განსაზღვრული. სასურველია, რომ იურიდიული პირებისთვის პასუხის გაცემის ვადად ყველა წერილზე განისაზღვროს არაუმეტეს 5 სამუშაო დღე და ეს ვადა მკაცრად იქნება დაცული. ისეც ხდება, რომ წერილებზე პასუხის გაცემას 2 თვე და უფრო მეტი დროც სჭირდება. შესაბამისად, პროექტის მერიასთან შეთანხმების პროცესი დროში იწელება, რაც ინვესტორისთვის ზედმეტ დანახარჯებს იწვევს, – აღნიშნა სოლომნიშვილმა.

კომპანია „არსის“ ფინანსური მენეჯერის, თორნიკე აბულაძის შეფასებით, ახალმა წესებმა მშენებლობის ნებართვების გაცემა ცალსახად შეაფერხა. მისივე თქმით, პროექტების შეფერხების მიზეზი გახდა ის, რომ 2017 წლის იანვარში რეგლამენტის ამოქმედებისას ქვეყანაში მხოლოდ რამდენიმე ადამიანი იყო, ვისაც ეს დადგენილება ჰქონდა წაკითხული და გააზრებული.

– ტექნიკური რეგლამენტის ამოქმედების პერიოდში დაახლოებით 20 ადამიანი იყო, ვინც ეს კანონი იცოდა. არ გვყავდა სპეციალისტი, ვინც ამ დადგენილების მიხედვით შეადგენდა, შეაფასებდა და იტყოდა, რომ პროექტი ამ დადგენილების თანახმადაა გაკეთებული. არადა, მერიაში დღეში საშუალოდ 20-25 პროექტი შედის განსახილველად. სპეციალისტების სიმცირემ კი, ცხადია, კოლაფსი გამოიწვია, – აღნიშნავს აბულაძე.

მისივე შეფასებით, ამ 600-გვერდიან დოკუმენტში არის მუხლები, რომელიც მართლაც აძვირებს უძრავი ქონების ღირებულებას და არის მუხლები, რომელიც ფასზე არ მოქმედებს. როგორც აბულაძე აცხადებს, სწორია რომ ქვეყანაში სამშენებლო სექტორი მაღალ ევროპულ სტანდარტებს უნდა დაუახლოვდეს, თუმცა ეს სფეროს განვითარების შეფერხების ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს.

# ირაკლი ხმალაძე: „თბილისის მერიისა და 10 რაიონის გამგეობის საშტატო ნუსხა 120 ერთეულით მცირდება“




თბილისის ვიცემერ ირაკლი ხმალაძის განცხადებით, დედაქალაქის მერიისა და 10 რაიონის გამგეობის საშტატო ნუსხა თებერვლის ბოლოდან იცვლება და 120 ერთეულით ნაკლები იქნება. ამის შესახებ ხმალაძემ საკრებულოს სხდომაზე განაცხადა. მისივე ინფორმაციით, მერიისა და გამგეობების 1496 საშტატო ერთეული 1376 ერთეულამდე მცირდება.

როგორც ხმალაძემ აღნიშნა, მერიის ადმინისტრაცია 202 ერთეულიდან 120-მდე მცირდება. გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 30-დან 35 ერთეულამდე იზრდება, ეკონომიკური სამსახური 31 საშტატო ერთეულიდან 26-მდე მცირდება, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური (კეთილმოწყობის სამსახური) 70-დან 60-მდე შემცირდება. შესყიდვების სამსახური – 29-დან 27-მდე მცირდება, საფინანსო სამსახური 40-დან 39-მდე. იურიდიულ სამსახურში 60 საშტატო ერთეულია და უცვლელი რჩება, ისევე, როგორც სოციალური სამსახურის საშტატო ერთეულები 31 იყო და იგივე რჩება. კულტურა-ახალგაზრდობა-სპორტის მიმართულებით არსებულ სამსახურში ჯამში 40 საშტატო ერთეული იქნება. ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საშტატო ერთეულები 129-დან 121-მდე შემცირდება. უსაფრთხოების სამსახური კი ისევ 89 ერთეული იქნება. ურბანული განვითარების ახალ სამსახურში 31 თანამშრომელი იმუშავებს.

რაც შეეხება თბილისის რაიონების გამგეობების საშტატო ნუსხას, როგორც ვიცემერმა აღნიშნა, 10-ვე რაიონის გამგეობაში ჯამში 691 ერთეული იყო, რაც 612 ერთეულამდე მცირდება.

# რეგულაციების დაწესება სათამაშოების ბაზარზე



პოპულარიზაცია, წარმოების ზრდა და უსაფრთხო სათამაშოები – ეს ის საკითხებია, რის დაყენებასაც სათამაშოების ქართველი მწარმოებლები სააგენტო „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში დაგეგმილ შეხვედრაზე გაახმაურებენ. როგორ კომპანიებში აცხადებენ, სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული ნაბიჯები იდგმება, თუმცა წარმოების გაზრდისთვის და ქართული პროდუქციის პოპულარიზაციისთვის ეს საკმარისი არ არის.

როგორც ცნობილია, ადგილობრივ თუ საერთაშორისო ბაზრებზე არსებული გამოწვევებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებისთვის სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ სათამაშოების მწარმოებელ ქართულ კომპანიებთან შეხვედრას გამართავს, რისი საშუალებითაც, სახელმწიფო მოხელეები პრობლემებს თავად მწარმოებლებისგან მოისმენენ. ძირითადი სასაუბრო თემა ევროპაში ქართული სათამაშოების ექსპორტს შეეხება. შეხვედრა 17 იანვარს გაიმართება.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, სათამაშოების მწარმოებელი ქართული კომპანიები რა ძირითად საკითხებზე გაამახვილებენ ყურადღებას შეხვედრაზე და რა არის კომპანიებისთვის მთავარი გამოწვევა?

როგორც „კომერსანტთან“ საუბრისას სათამაშოების კომპანია Geo Tous-ის დამფუძნებელი დავით კაციტაძე აცხადებს, ისინი შეხვედრაზე რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს დააყენებენ, მათ შორის, ერთ-ერთი იმპორტირებული სათამაშოების ხარისხია.

– საქართველოში სათამაშოების წარმოება ყველას მარტივი ჰგონია და ის სერიოზულ ბიზნესად არ აღიქმება. სწორედ ამიტომ, ჩვენ ყველას ვაჩვენებთ, რომ გვაქვს პოტენციალი, – აცხადებს დავით კაციტაძე.

მანამდე კი, კაციტაძის თქმით, Geo Tous-i და კიდევ 2 მწარმოებელი გერმანიაში მიემგზავრება.

– საქართველოში სათამაშოების წარმოებასთან დაკავშირებით საკმაოდ დიდი პოტენციალი არსებობს. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ მივმართეთ სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ და მათი დახმარებით საქართველოდან სათამაშოების სამი მწარმოებელი გერმანიაში გამოფენაზე მიემგზავრება. წასვლამდე შესასწავლია ბაზარი და უნდა გაირკვეს, თუ ვინაა კიდევ უცხოეთის ბაზრით დაინტერესებული, – განაცხადა Geo Tous-ის დამფუძნებელმა დავით კაციტაძემ.

სახელმწიფოს მხრიდან შეხვედრის ინიციატივას დადებითად აფასებს „თამაშობანას“ დირექტორი ნონა სონღულაშვილი. მისი განცხადებით, შეხვედრაზე ძირითადად საჭირო მასალებისა და წარმოების ადგილების შექმნის შესახებ გაამახვილებს ყურადღებას.

– სახელმწიფო გვერდით გვიდგას და ჩვენ ინიციატივებს აკმაყოფილებს. ძირითადი პრობლემა არის რეგულაციები და სტანდარტები. საქართველოში უსაფრთხო სათამაშოებთან დაკავშირებით რეგულაციები საჭიროა და ჩვენც უნდა ჩავერთოთ ამ ყველაფერში. ქვეყანაში ძალიან ცოტა მასალა შემოდის, ცოტა საწარმოა, სადაც პროდუქციის წარმოებას შევძლებთ. 2017 წელს რამდენიმე მწარმოებელმა ასოციაციის ტიპის ორგანიზაცია ჩამოვაყალიბეთ, ეს გამოცდილების თვალსაზრისით ძალიან გვეხმარება, თუმცა ეს საკმარისი არ არის და საჭიროა, სახელმწიფოს მხრიდან დახმარება, – აღნიშნა სონღულაშვილმა.

კიდევ ერთი კომპანიის, „კოდალას“ დამფუძნებელი კოტე სვანაძე კი აცხადებს, რომ დღეს პრობლემა უსაფრთხო სათამაშოა.

– ამიტომ შეხვედრაზე ყურადღებას სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ კანონის არარსებობაზე ვისაუბრებ, ასევე ქართული პროდუქციის ხელშეწყობაზე სახელმწიფოს მხრიდან. ყურადღება უნდა მიექცეს საექსპორტო ბაზრებსაც, – განმარტა სვანაძემ.

რაც შეეხება სათამაშოების ბაზარს, როგორც კომპანიებში აცხადებენ, ბოლო ერთი წელიწადია, საქართველოში სათამაშოების წარმოება პოპულარული გახდა და გაყიდვების მაჩვენებელი საშუალოდ 15-25%-ით გაიზარდა. თუმცა, მწარმოებლების თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ბაზარი ყოველწლიურად ვითარდება, ქვეყანაში მასობრივი წარმოება მაინც არ ხდება, რაც ნეგატიურად აისახება ბიზნესზე.

# 2 თვეში გადახდისუუნარო მოსახლეობის რაოდენობა 4,7 ათასით გაიზარდა




საქართველოში ქონების დაკარგვის კანდიდატთა რიცხვი სწრაფად იზრდება. მხოლოდ ბოლო 2 თვის განმავლობაში გადახდისუუნარო ადამიანების რაოდენობამ 4.735-ით მოიმატა. თუ 2017 წლის 20 ნოემბრისთვის აღსრულების ეროვნული ბიუროს, მოვალეთა რეესტრში 230.223-ს ჩანაწერი იყო, დღეს ეს მაჩვენებელი 234.958-ს შეადგენს. შედეგად გამოდის, რომ დღეს საქართველოს მოსახლეობის 6,3% გადახდისუუნაროა, რაც საკმაოდ საგანგაშო მაჩვენებელია (სტატისტიკის სამსახურის მონაცემების, საქართველოში დღეს 3,718 მლნ ადამიანი ცხოვრობს.) და თუ ზრდა ამ ტემპით გაგრძელდა, წლის ბოლოსთვის გადახდისუუნარო მოსახლეობის რაოდენობამ შესაძლოა, 7%-საც კი გადააჭარბოს.

ზოგადად, მოვალეთა რეესტრის მონაცემები სწრაფად იცვლება, რადგან დავალიანების დაფარვის შემთხვევაში ბაზიდან პირის ამოღება ხდება. თუმცა ფაქტია, რომ ბოლო წლებში ის ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ეკონომისტების პოზიციით, როდესაც მოვალეთა რეესტრში ჩანაწერების რაოდენობა მატულობს, ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში ცხოვრება ძვირდება და გადახდისუუნარო ადამიანების რაოდენობაც იზრდება. ეს ყველაფერი კი იმის მანიშნებელია, რომ ეკონომიკური აქტივობა კვლავ დაბალია და სოციალური ფონიც მძიმე. იმისათვის, რომ მდგომარეობა შეიცვალოს, მინიმუმ ეკონომიკურმა აქტივობამ უნდა მოიმატოს. საჭიროა ადამიანს გაუჩნდეს ფული, რომ მან დავალიანება წლების წინ შეძენილი ქონების გასხვისებით არ დაფაროს.

აღსრულების ეროვნული ბიუროს მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებულია ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი, რომლის მიმართაც 2010 წლის პირველი იანვრიდან იძულებითი სააღსრულებლო საქმის წარმოებაა. აღსრულების ბიუროში განმარტავენ, რომ რეესტრში ყველა სახის დავალიანების შესახებ ინახება ინფორმაცია, მათ შორის სამგზავრო ჯარიმების თაობაზეც.

# კახეთში ბროწეულის პლანტაცია გაშენდება



კომპანია „აგროპლანი“ კახეთში ბროწეულის ბაღის გაშენებას გეგმავს. პროექტი უკვე აქტიურ ფაზაშია და ამ ეტაპზე ბიზნესგეგმის დამუშავება მიმდინარეობს. წინასწარი გათვლებით ბროწეულის ნერგები 400 ჰექტარზე უნდა გაშენდეს. როგორც კომპანიის დამფუძნებელმა მოჰამედ ჯავად არაბნეჯადმა ბმ.გე-ს განუცხადა, საქართველოში ბროწეულის მასობრივ წარმოებას კლიმატის გათვალისწინებით კარგი პერსპექტივა აქვს.

მისი თქმით, ნერგებს ირანიდან, ესპანეთიდან და აშშ-დან ჩამოიტანენ.

– გვინდა, რომ ბაზარზე წლის განმავლობაში ხანგრძლივი პერიოდით ვიყოთ წარმოდგენილი, ამიტომ რამდენიმე ჯიშის ნერგს გამოვიყენებთ, რათა მოსავალი ეტაპობრივად დამწიფდეს, – აღნიშნა მოჰამედ ჯავადმა.

როგორც კომპანიაში ამბობენ, პლანტაცია თანამედროვე ტექნოლოგიებით და რწყვის სისტემით გაშენდება, რის გამოც ერთ ჰექტარზე ინვესტიცია დაახლოებით 10-12 ათასი დოლარი იქნება. კომპანია პროდუქციის გადამუშავებისთვის და წვენის წარმოებისთვის სამომავლოდ ქარხნის მშენებლობასაც გეგმავს და ადგილობრივი ბაზრის ათვისების გარდა, ევროპაში ექსპორტსაც აპირებს.

კომპანია „აგროპლანი“ ირანული ინვესტიციით 2012 წელს დაფუძნდა, რომელიც კახეთში 100 ჰექტარ ვენახს ფლობს, გასულ წელს კი 50 ჰექტარზე ქლიავის, გარგარისა და ატმის ბაღებიც გააშენეს.

# სავალუტო ჯიხურების რეგულირება მკაცრდება



სავალუტო ჯიხურების რეგულირების თვალსაზრისით ეროვნული ბანკის უფლებამოსილება იზრდება. შედეგად, სებ-ი სავალუტო ჯიხურების ზედამხედველობას მხოლოდ ფულის გათეთრების კუთხით აღარ განახორციელებს. აღნიშნულს გულისხმობს, „ეროვნული ბანკის“ შესახებ კანონში შესული ცვლილებები.

ცვლილებების მიხედვით, იმ საფინანსო დაწესებულებების ჩამონათვალს, რომლის ზედამხედველობასაც ახორციელებს ეროვნულ ბანკი, ვალუტის გადამცვლელი ჯიხურებიც დაემატა.

ცვლილებების მიხედვით, ვალუტის გადამცვლელი პუნქტი ვალდებული იქნება ვალუტის გაცვლითი კურსისა და მომსახურების საკომისიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ოდენობის შესახებ მომხმარებელს მომსახურების გაწევისას სრული ინფორმაცია მიაწოდოს.

– ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ვალუტის გადამცვლელი პუნქტისაგან მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური) თავის მიერ დადგენილი წესით. ეროვნული ბანკი განსაზღვრავს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების და ვალუტის გადაცვლის ოპერაციის გაუქმების წესს, – ვკითხულობთ კანონში.

ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების და ვალუტის გადაცვლის ოპერაციის გაუქმების წესი ეროვნულმა ბანკმა 2018 წლის 1 მარტამდე უნდა განსაზღვროს.

# ვინ შეუკვეთა გენერლის მკვლელობა

რუსთავის ე.წ. სტამბოლის ბაზრობაზე, სადაც გუშინ ბაზრობის ერთ-ერთი მეწილე, ყოფილი დეპუტატი, გენერალი სამსონ ქუთათელაძე მოკლეს, დილიდან საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს. სამართალდამცავები ბაზრობის თანამშრომლების გამოკითხვას აწარმოებენ.

არსებული ინფორმაციით, პოლიციამ დაკითხვაზე გადაიყვანა მიმდებარე ტერიტორიაზე მეორადი ტანსაცმლის მაღაზიის მეპატრონე, რომელმაც დაინახა, თუ როგორ შედიოდა სამსონ ქუთათელაძე ამ ეტაპზე დაუდგენელ პირთან ერთად სიკვდილამდე რამდენიმე წუთით ადრე საკუთარ ოფისში.

სხვა დეტალებზე ბაზრის თანამშრომლები არ საუბრობენ, რადგან მათ მედიასთან კონტაქტი ადგილზე მისულმა პოლიციამ აუკრძალა.

როგორც ირკვევა, შემთხვევია ადგილზე ვიდეოსათვალთვალო კამერები არაა, ფიქსირდება ერთადერთი კამერა, მაგრამ, როგორც მოვაჭრეები „ნიუპოსტს“ უყვებიან, კამერა არ მუშაობს.

– გუშინვე დაგვკითხეს, თუმცა ჩემს გამოკითხვას რა აზრი აქვს, რადგან არაფერი დამინახავს. ყველა გაკვირვებულია, ძალიან კარგი ადამიანი იყო, – აღნიშნავს ბაზრის თანამშრომელი.

როგორ ირკვევა, ქუთათელაძე რუსთავის ბაზრის წილის გასხვისებას გეგმავდა, თუმცა, უკავშირდება თუ არა შეკვეთილი მკვლელობა ქუთათელაძის გადაწყვეტილებას, უცნობია.

ე.წ. სტამბოლის ბაზრის მენეჯერი მეწილეებსა და ქუთათელაძეს შორის რაიმე სახის დაპირისპირებას გამორიცხავს.

– არანაირი დაპირისპირება არ ყოფილა, არ მაქვს ინფორმაცია, გეგმავდა თუ არა ქუთათელაძე წილის გასხვისებას. არც ვერსიაზე შემიძლია საუბარი. პირადად მე, არ დავკითხულვარ, თუმცა, თანამშრომლები რომ დაკითხეს, ვიცი, – აღნიშნავს მენეჯერი.

რუსთავში, ე.წ. სტამბოლის ბაზრობის ტერიტორიაზე ყოფილი დეპუტატის, გენერალ სამსონ ქუთათელაძის კაბინეტი, სადაც ის მოკლული იპოვეს, დალუქულია. ქუთათელაძის ცხედარი დაცვის თანამშრომელმა ნახა.

მომხდარზე გამოძიება ორი მუხლით მიმდინარეობს – 236-ე და 108-ე მუხლებით, რაც განზრახ მკვლელობასა და იარაღის მართლსაწინააღმდეგო მიზნით შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

წინასწარი ინფორმაციით, ქუთათელაძეს ცეცხლნასროლი ჭრილობა თავის არეში აქვს მიყენებული. ბაზრის მოვაჭრეები ამბობენ, რომ გასროლის ხმა არ გაუგიათ და მკვლელობა, სავარაუდოდ, მაყუჩიანი პისტოლეტით არის ჩადენილი.

სამსონ ქუთათელაძე 2001 წლიდან იყო ეროვნული გვარდიის შემადგენლობაში. 2004-2006 წლებში ეროვნული გვარდიის სარდალი. 2008 წლიდან კი საქართველოს პარლამენტის წევრი, თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. პარლამენტში არჩეული იყო როგორც საჩხერის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან.



## სასამართლომ ბრალდებულ ნ.ლ.-ს 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა



ბათუმის საქალაქო სასამართლომ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებაში, ხულიგნური ქვენაგრძნობით განზრახ მკვლელობასა და განზრახ მკვლელობის მცდელობაში, ასევე ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულ ნ.ლ.-ს 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პროკურატურიდან აცნობეს, სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებაში, ხულიგნური ქვენაგრძნობით განზრახ მკვლელობასა და განზრახ მკვლელობის მცდელობაში, ასევე ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებული ნ.ლ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-19, 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და მე-19, 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

საგამოძიებო ორგანოს ინფორმაციით, სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დადასტურდა, რომ 2017 წლის 5 აგვისტოს, დაახლოებით 23:30 საათზე ნ.ლ.-მ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სამებაში, ხულიგნური ქვენაგრძნობითა და ორი პირის განზრახ მოკვლის მიზნით, ორლულიანი გადაჭრილი თოფიდან, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა, ინახავდა და ატარებდა, განახორციელა ორი გასროლა, ჯერ გ.კ.-ს, ხოლო შემდგომ რ.ზ.-ს მიმართულებით და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. თავდამსხმელისგან გ.კ.-მ გაქცევით შეძლო თავის დაღწევა, ხოლო რ.ზ.-მ მრავლობითი დაზიანებები მიიღო წელის არეში. იგი საავადმყოფოში მიყვანის შემდგომ გარდაიცვალა.

– სამართალდამცველებმა ნ.ლ. 2017 წლის 7 აგვისტოს ქედის მუნიციპალიტეტში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება), 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა ხულიგნური ქვენაგრძნობით), მე-19, 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობის მცდელობა ხულიგნური ქვენაგრძნობით) და მე-19, 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ ნ.ლ. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებებში და დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად 18 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, – აცხადებენ პროკურატურაში.

## სამცხე-ჯავახეთში მოქალაქეებმა ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ნებაყოფლობით ჩააბარეს

შს სამინისტროს ინფორმაციით, სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტში ასპინძის, ახალქალაქის და ახალციხის რაიონებში მცხოვრებმა მოქალაქეებმა – 1990 წელს დაბადებულმა რ.ო.-მ, 1967 წელს დაბადებულმა გ.ტ.-მ, 1980 წელს დაბადებულმა ო.კ.-მ და 1977 წელს დაბადებულმა ს.ვ.-მ სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, ფეთქებადი ნივთიერება, ასაფეთქებელი მოწყობილობები და საბრძოლო მასალა ნებაყოფლობით წარმოადგინეს და ჩააბარეს.



– აღნიშნული პირები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან თავისუფლდებიან.

სულ ჩაბარებულია: „აკმ“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 3 გადაჭრილი სანადირო თოფი – ე.წ. „აბრეზი“, 3 პისტოლეტი, სხვადასხვა კალიბრის 427 საბრძოლო ვაზნა, 20 ხელყუმბარა, 4 ყუმბარა, 2 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი, ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი, ტროტილის 2 კოჭა და ტყვიის მაგვარი 4 საგანი“, – ნათქვამია შს სამინისტროს განცხადებაში.

## ჯარაფ ხანგოშვილი აცხადებს, რომ მისი შვილი ჩატაევის დაჯგუფების წევრებს სტუმარმასპინძლობის თვალსაზრისით რამდენჯერმე დაეხმარა

უსაფრთხოების სამსახურის მიერ გავრცელებულ კადრებში ნაჩვენები პირი, რომელსაც კადრებში სახე დაფარული აქვს, პანკისის ხეობის მკვიდრია. ის იუსუფ ხანგოშვილი, ხეობის უხუცესთა საბჭოს წევრ ჯარაფ ხანგოშვილის შვილია. ის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში გუშინ დაკითხვაზე იმყოფებოდა. იუსუფ ხანგოშვილი მედიასთან არ კონტაქტობს.



მისი მამა, ჯარაფ ხანგოშვილი, ადასტურებს, რომ კადრებში მისი შვილია და აცხადებს, რომ ჩატაევის დაჯგუფების წევრებთან მას კავშირი რამდენჯერმე ჰქონდა, რადგან ისინი ხეობას ხშირად სტუმრობდნენ.

– ჩემი შვილი მედიაში კადრების გავრცელებამდე დაიბარეს, რადგან ჩატაევის დაჯგუფების წევრებთან ერთად ჩანდა კადრებში. ჰკითხეს, საიდან იცნობდა და რა კავშირი ჰქონდა. არაფერი კავშირი ჩემს შვილს მათთან არ ჰქონია. სტუმარმასპინძლობას დიდ ყურადღებას ვაქცევთ. იმ პირებსაც, როგორც სტუმრებს, ისე დაეხმარა. ისინი აქ, ხეობაში ხშირად ჩამოდიოდნენ და გასაკვირი არ არის, რომ ჩემი შვილი მათ იცნობდა. სხვა რაიმე სახის კავშირი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ლიკვიდირებულებთან იუსუფს არ ჰქონია, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ უხუცესთა საბჭოს წევრმა ჯარაფ ხანგოშვილმა.

## შს სამინისტროს ინფორმაციით, ხაშურში არასრულწლოვანების დაჭრაში ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს

შს სამინისტროს ინფორმაციით, ხაშურში არასრულწლოვანების დაჭრაში ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს შს მინისტრის მოადგილემ ნათია მეზვრიშვილმა ხაშურში არასრულწლოვანთა დაჭრის საქმესთან დაკავშირებით საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდა.

როგორც მეზვრიშვილმა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, შს სამინისტრომ აღნიშნული დანაშაული ცხელ კვალზე გახსნა.

– განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით 1992 წელს დაბადებული გ.ც. ხაშურში დააკავეს. მის მიერ ჩადენილი ქმედება ითვალისწინებს 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას და გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა 14 იანვარს, ერთ-ერთი რესტორნის მიმდებარე ტერიტორიაზე ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ცივი იარაღით სხეულის დაზიანება მიაყენა ორ არასრულწლოვანს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაშავებულებიდან ერთი არასრულწლოვანის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. ის საავადმყოფოდან დღეს გამოწერეს და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. მეორეს ჩაუტარდა ოპერაცია, გადაყვანილია პალატაში და ამჟამად ექიმის ინტენსიური მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. სამართალდამცველებმა დანაშაულში ბრალდებული პირი



მომხდარიდან რამდენიმე საათში, ხაშურში დააკავეს. დაკავებული აღიარებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს, – განაცხადა მეზვრიშვილმა.

საქმეზე გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 19-108-ე მუხლით მიმდინარეობს.

## 15 დღეში ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების 162 ფაქტი გამოვლინდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისა და ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლებმა, 2018 წლის 1-ლი იანვრიდან 15 იანვრის ჩათვლით, ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების 162 ფაქტი გამოავლინეს.

სამინისტროს ინფორმაციით, ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების ყველაზე მეტი – 49 ფაქტი გამოვლინდა კახეთის რეგიონული სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე, აჭარის რეგიონული სამმართველოს მასშტაბით გამოვლინდა – 21 ფაქტი, დასავლეთის რეგიონული სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე – 28 ფაქტი, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს მასშტაბით – 5 ფაქტი, აღმოსავლეთის რეგიონული სამმართველოს ტერიტორიაზე – 14 ფაქტი, ქვემო ქართლის მასშტაბით – 19 ფაქტი, ხოლო სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე – 26 ფაქტი.



ჯამში, ამოღებულია უკანონოდ მოპოვებული 412 მ3-მდე ხე-ტყე. ამავე პერიოდში, სახერხი საამქროს რეგლამენტის დარღვევის 14 ფაქტი დაფიქსირდა. ამოღებულია და ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოშია გადატანილი 1 ერთეული დაურეგისტრირებელი სახერხი დანადგარი. მასალები შემდგომი რეაგირებისთვის შესაბამის უწყებებშია გადაგზავნილი.




## გორში 40 წლამდე მამაკაცმა თავი ჩამოიხრჩო

გორში, კომბინატის დასახლებაში, 40 წლამდე მამაკაცმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მან თავი ჩამოიხრჩო.

როგორც „ნიუპოსტს“ შსს-ში განუცხადეს, საქმეზე გამოძიება 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# ლავროვი: „რუსეთი უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს, ოღონდ ყირიმის გარეშე“

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა პრესკონფერენცია გამართა. შეკითხვაზე, უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას თუ აღიარებთო, მიუგო:

– რასაკვირველია, ვაღიარებთ, ოღონდ ახალი გეოპოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით!

ლავროვმა განმარტა, რეალიებში რასაც გულისხმობდა. მინისტრმა ათი წლის წინ დადებული რუსეთ-უკრაინის ხელშეკრულება გაიხსენა, როცა რუსეთმა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა აღიარა. მეტიც, ამ ხელშეკრულებაში ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ მხარეები სადავო საკითხების განხილვისას შეიარაღებული ძალების გამოყენებაზე უარს აცხადებენ.

– უკრაინულმა მხარემ ეს პუნქტი დაარღვია! ეს მაშინ მოხდა, როცა იანუკოვიჩი დაამხეს და რუსულენოვანი მოსახლეობის შევიწროება დაიწყეს.

ყირიმის შესახებ მან თქვა:

– ჩვენ იძულებულნი ვიყავით, ყირიმში ჯარი შეგვეყვანა, რათა იქაური რუსული მოსახლეობა დაგვეცვა!



უკრაინის პირველი პრეზიდენტი ლეონიდ კრავჩუკი ლავროვის გამოსვლაზე ფრიად საინტერესო კომენტარს აკეთებს. კრავჩუკმა ხაზი გაუსვა, რომ დონბასში რუსეთი ჩიხში შევიდა. წინსვლის ნაცვლად რუსული არმია უკან იხევს. პუტინიც მიისწრაფის, დონბასის კონფლიქტიდან ისე გამოვიდეს, რომ სახე შეინარჩუნოს.

– რუსეთის პრეზიდენტი ცდილობს, დონბასი უკან, უკრაინის შემადგენლობაში „შეაგდოს“, ოღონდ ეს მოსკოვისთვის ხელსაყრელ პირობებში უნდა მოხდეს, – თქვა კრავჩუკმა.

ეს პირობები ყველასთვის კარგადაა ცნობილი: კიევი დონბასის განსაკუთრებულ სტატუსს უნდა დაყაბულდეს, ანუ სეპარატისტული სტრუქტურები უნდა შენარჩუნდეს. შესაბამისად შენარჩუნდება რუსეთის სამხედრო პროტექტორატი რეგიონზე. მეტიც, დონბასის განსაკუთრებული სტატუსის აღიარებით ჯაჭვური რეაქცია დაიწყება. ასეთსავე სტატუსს მოითხოვენ ხარკოვი, ოდესა, იმიერკარპატისპირეთი, ბუკოვინა.

– სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უკრაინის ფედერალიზაცია დაიწყება. პუტინის მიზანიც ესაა, – ამბობს კრავჩუკი.

როზუმკოვის ანალიტიკური ცენტრის მონაცემებით, უკრაინელთა 66 პროცენტი დონბასისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭების წინააღმდეგია. შესაბამისად, პოლიტიკოსი, რომელიც დონბასის ავტონომიას მხარს დაუჭერს, უნებლიეთ პოლიტიკურ ხარაკირს გაიკეთებს. მის კარიერასაც წერტილი დაესმება.

– ლავროვის სიტყვები კიდევ ერთხელ ადასტურებენ იმას, რომ პუტინის მშვიდობიანი რიტორიკა ყალბია! რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ აგრესიას განაგრძობს, – ამბობს უკრაინელი პოლიტოლოგი ტარანი.



# ტრამპი: „მე რასისტი არა ვარ!“

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი კვლავ კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. ამჯერად პრეზიდენტის ფრაზამ, „ჩვენ არ გვესაჭიროება ემიგრანტები ბინძური ხვრელებიდან“, ამერიკელი ლიბერალები აღაშფოთა. ტრამპმა „ბინძურებში“ აფრიკელი და ლათინური ამერიკიდან აშშ-ში ჩასული ემიგრანტები იგულისხმა.

– მე რასისტი არა ვარ! – განაცხადა ტრამპმა.

აშშ-ის ლიდერმა ხაზი გაუსვა, რომ ქვეყნის ინტერესებს იცავს. ემიგრანტები აფრიკიდან და ლათინური ამერიკიდან იაფ მუშახელს წარმოადგენენ. ბიზნესმენებიც მათ ხალისით ქირაობენ, ამერიკის მოქალაქეები კი უმუშევრები რჩებიან.

– მე მინდა, რომ უწინარეს ყოვლისა, ჩემი ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ დასაქმებულნი! მე პატრიოტი ვარ და არა რასისტი! – აცხადებს ტრამპი.

# ორბანი: „უკრაინა რუსეთ-ევროპას შორის ბუფერული ზონა არ უნდა იყოს“




უნგრეთის პრემიერმა ვიქტორ ორბანმა განაცხადა, რომ ევროპის პოლიტიკა რუსეთის მიმართ არაეფექტურია. ორბანმა კვლავ დითირამბები მიუძღვნა პუტინს და აღნიშნა, რომ ევროპა მისგან ურჩხულს ქმნის.

– ეს ძალიან სარისკო თამაშია! – მიიჩნევს უნგრეთის ლიდერი.

შემდეგ ორბანი უკრაინაზე გადავიდა. ამჯერად მან მოულოდნელად განაცხადა, უკრაინა ევროკავშირში უნდა მივიღოთო.

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყანაა! ის ევროკავშირსა და რუსეთს შორის ბუფერი არ უნდა იყოს. უკრაინას მე ევროკავშირში ვხედავ. რასაკვირველია, ეს უცებ არ მოხდება, მაგრამ უკრაინელებს თანამედროვე დასავლური ტიპის სახელმწიფოს აშენებაში უნდა დავეხმაროთ! – თქვა პრემიერმა.



# რუმინეთის პრემიერი გადადგა

რუმინეთის პრემიერს მიხაი ტუდოსეს მისმავე სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ უნდობლობა გამოუცხადა. პრემიერიც გადადგა.

– თავაწეული მივდივარ! ქვეყნისთვის მხოლოდ კარგის გაკეთებას ვცდილობდი, – განუცხადა ჟურნალისტებს ტუდოსემ.

რუმინეთის პრემიერი თანამდებობაზე ქვეყნისთვის ურთულეს პერიოდში მოვიდა. რუმინეთი კორუფციულმა სკანდალებმა შეაზანზარა. გაიმართა მასობრივი ანტისამთავრობო მიტინგები. პროგნოზი, რომ ტუდოსე თანამდებობას დიდხანს ვერ შეინარჩუნებდა, გამართლდა.

# ლიტვაში მაგნიტსკის კანონი ამოქმედდა



ლიტვის პრეზიდენტმა გრიბაუსკაიტემ პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს ხელი მოაწერა. მის თანახმად, ლიტვის ტერიტორიაზე მაგნიტსკის კანონი მოქმედებაში შევიდა. თანახმად ამ კანონისა, ლიტვამ 49 რუს მაღალჩინოსანს სანქციები დაუწესა. მათ შორის არიან რამზან კადიროვი და რუსეთის საგამომძიებლო კომიტეტის თავმჯდომარე ბისტრიაკოვი.

ლიტვა აშშ-ის, კანადის და ესტონეთის შემდეგ მეოთხე სახელმწიფოა, რომლის ტერიტორიაზეც მაგნიტსკის კანონი მოქმედებს.

# ავსტრალიელი საკუთარი ძაღლის გველისგან გადარჩენას ემსხვერპლა

ავსტრალიელი შხამიანი გველის კბენის შედეგად გარდაიცვალა, რომელიც მისმა ძაღლმა მოიტანა.

ინციდენტი ავსტრალიის ქალაქ ტამვორტში მოხდა, რომელიც სიდნეის გარეუბნად ითვლება. ყავისფერმა გველმა 24 წლის მამაკაცს თითზე იმ დროს უკბინა, როდესაც ის შეეცადა ქვეწარმავალი თავისი ძაღლის პირიდან გამოეყვანა. ამის შემდეგ მან ნაკბენი დედას აჩვენა, რომელმაც მაშინვე საავადმყოფოში გადაიყვანა. სამწუხაროდ, ექიმებმა ახალგაზრდა მამაკაცის გადარჩენა ვერ შეძლეს. ის მიუხედავად მისთვის გაკეთებული შხამის საწინააღმდეგო ინექციისა, ერთი საათის შემდეგ გარდაიცვალა.

პოლიციელებმა დაღუპულის დედას გველი ჩამოართვეს და ვეტერინარებს გადასცეს.

ყავისფერი ავსტრალიური გველი ერთ-ერთ ყველაზე შხამიან ქვეწარმავლად ითვლება მთელ მსოფლიოში. ავსტრალიაში გველის ნაკბენისგან დაღუპულთა 60 პროცენტი სწორედ ამ სახეობაზე მოდის.

# ღორმა თანამოძმე დაკვლას გადაარჩინა



ჩინეთში ღორმა თავისი თანამოძმე ყასაბს გამოსტაცა. ცხოველის ქმედება ვიდეოზე იქნა გადაღებული და სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა.

ერთ-ერთი ღორი სკამზე დააწვინეს, ორ მამაკაცს ის ფეხებით და თავით ეჭირა, როდესაც მათ თავს დაესხა მეორე ღორი. ის მათ დაეტაკა და მოახერხა, რომ თანამოძმე, რომელიც ის-ის იყო უნდა დაეკლათ, გაეთავისუფლებინა.

გავრცელებული ინფორმაციით, ვიდეორგოლი ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ქალაქ ბანანშია გადაღებული. უცნობი დარჩა, მაინც მოახერხეს თუ არა მამაკაცებმა ღორის დაჭერა და დაკვლა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# პალესტინამ ისრაელის ცნობაზე უარი განაცხადა



პალესტინის პარლამენტმა ისრაელის ცნობაზე უარი განაცხადა. მიზეზი იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარებაა.

– ასეთ პირობებში ისრაელთან ლაპარაკიც კი არ გვსურს! – აცხადებენ პალესტინელი ლიდერები.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ფსორიაზის მკურნალობა მაღალი შედეგით – მალამოებით, ლიმფის გაწმენდითა და ნერვული სისტემის მოწესრიგებით. ფრჩხილის სოკო და კანის სოკო, ეგზემა, სტრეპტოდერმია და სხვა – ბუნებრივი საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე.597 98-95-99; 599 45-88-66. ნინო ექიმი.

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზიური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# სანჩესისთვის მანჩესტერი და ჩელსი იბრძვიან



ჩილელი ვარსკვლავის ალექსის სანჩესის სატრანსფერო საგა გრძელდება. ინგლისში იანვარი სატრანსფერო თვალსაზრისით მეტად ცხელი გამოდგა: „მეთოფეების" შემტევის საკუთარ გუნდში ხილვა ჯერ სიტის სურდა, თუმცა გავრცელებული ცნობების თანახმად, სიტის საბაზრო ღირებულება არ მოეწონა და თამაში დატოვა.

სანჩესის შეძენის მთავარ ფავორიტად მანჩესტერ იუნაიტედი მიიჩნევა, თუმცა ბრიტანული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სიტი ლონდონის ჩელსიმ ჩაანაცვლა და ახლა „წითელ ეშმაკებს" მათი დამარცხებაც მოუწევთ.

გავრცელებული ცნობით, „ოლდ ტრაფორდის" ბოსებმა არსენალთან შეთანხმებას უკვე მიაღწიეს და ფეხბურთელის სანაცვლოდ 39 მილიონს გადაიხდიან, თუმცა ჩელსიმ გაზრდილი შემოთავაზებით ვენგერის გუნდს მიმართა, რითაც შესაძლოა ჩილელის იუნაიტედში გაოფიციალურება დროებით გადაიდოს.

ცნობისთვის, თითქმის ყველა გამოცემა სანჩესისთვის ბრძოლაში მთავარ ფავორიტად იუნაიტედს მიიჩნევს, თუმცა აბრამოვიჩის მილიონები საქმეში ჩაერთო.

# პირველად ფიგურული სრიალის ისტორიაში ევროპაზე ორი ქართველი იქნება



მოსკოვში დაიწყო 2018 წლის ევროპის ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში. ეს ტურნირი პრაქტიკულად ოლიმპიადის წინა გენერალური რეპეტიციაა.

საქართველოსთვის მიმდინარე ტურნირი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ფიგურული ციგურაობის ისტორიაში პირველად, ყინულზე 2 ქართველი მოციგურავე ვაჟი, მორის ყვითელაშვილი და ირაკლი მაისურაძე გავა.

ქართველი მოციგურავეები საქმეში დღეს ჩაერთვებიან და ძალებს მოკლე პროგრამაში ცდიან, ხოლო 19 იანვარს უკვე თავისუფალ პროგრამებს შეასრულებენ.

მაისურაძისათვის ევროპის ჩემპიონატზე სადებიუტო გამოსვლა იქნება, ხოლო მორის ყვითელაშვილი ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება და მოსკოვშიც, სავარაუდოდ, ოლიმპიური პროგრამებით წარდგება სპეციალისტების, მსაჯებისა და გულშემატკივრების წინაშე.

საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ევროპის ჩემპიონატზე ქართველ მოციგურავეებთან ერთად იმყოფებიან ფედერაციის პრეზიდენტი მარიამ გიორგობიანი და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი სალომე ჩიგოგიძე, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე ვაჟთა გამოსვლებს შეაფასებს.

# პსჟ-ს ბუსკეტსიც მოუნდა



როგორც ჩანს, ნასერ ალ-ხელაიფისთვის ბარსელონასთვის ნეიმარის „წართმევა" საკმარისი არ აღმოჩნდა და ფრანგული პარი სენ-ჟერმენის პრეზიდენტი კიდევ ერთი „ბლაუგრანელის" გამოსასყიდი თანხის გადახდითაა დაინტერესებული. საქმე ეხება სერჯიო ბუსკეტსს, აღნიშნული თანხა კი 200 მილიონ ევროს შეადგენს.

აღნიშნულ ინფორმაციას რამდენიმე ფრანგულ გაზეთთან ერთად ჟურნალისტი ჯონათან ბეილინი ავრცელებს, რომლის თანახმადაც, ნასერ ალ-ხელაიფი ბუსკეტსის პსჟ-ს მაისურით ხილვაზე ოცნებობს, მიუხედავად იმისა, რომ ნეიმარის ტრანსფერის შემდეგ ეს შეუძლებლად ჩანს. ბეილინი იმ ინფორმაციასაც ავრცელებს, რომ ბუსკეტსის ალტერნატივად პარიზელები ნგოლო კანტეს განიხილავენ.

ბუსკეტსმა კონტრაქტი გასულ სეზონში 2021 წლამდე გაახანგრძლივა, როგორც ფეხბურთელმა აქამდე არაერთხელ აღნიშნა, მისი მიზანი კარიერის „ბლაუგრანაში" დამთავრებაა.

# ზაზა ჯანაშია: „ლოკომოტივის დახმარების იმედი მაქვს"



როგორც ცნობილია, საფეხბურთო კლუბი ზუგდიდი წარსულში საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის ლოკომოტივის ფორვარდმა ზაზა ჯანაშიამ ელექტრონული აუქციონით შეიძინა.

გეტყვით იმასაც, რომ ზუგდიდური კლუბი გასულ სეზონში საქართველოს რანგით მესამე ლიგაში გავარდა, თუმცა უახლოეს წლებში ზაზა ჯანაშია კლუბის ელიტაში დაბრუნებას გეგმავს, კლუბთან დაკავშირებულ თემებზე ყოფილმა ფეხბურთელმა რუსულ მედიასთან ისაუბრა და ყოფილი კლუბის, ლოკომოტივის იმედად დგას.

*– რას ნიშნავს ელექტრონული აუქციონი?*

– კლუბი ქალაქის მუნიციპალიტეტს გასაყიდად გამოაქვს. თავდაპირველად დადგენილი თანხა 60.000 ლარი არ შეცვლილა აუქციონის მიმდინარეობისას. აუქციონი სრულდებოდა, 10-15 წუთი იყო დარჩენილი, ღილაკს დავაჭირე და შევიძინე გუნდი, ზუგდიდის შეძენა მხოლოდ მე არა, ქალაქის მთელ მოსახლეობას სურდა.

*– რატომ გადაწყვიტეთ კლუბის შეძენა?*

– პირველ რიგში ზუგდიდის საფეხბურთო კლუბი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. თავად ქალაქი ჩემი მშობლიურია – იქ დავიბადე და გავიზარდე. კლუბში კი ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში არაერთი ტალანტი ვნახე. მათ შეუძლიათ გახდნენ ისეთი კარგი ფეხბურთელები, როგორც ვიყავი მე.

*– ადვილად გაიღეთ 23.000 დოლარი ?*

– რა თქმა უნდა, დიდი თანხაა, თუმცა მოსკოვის ლოკომოტივის დახმარების იმედი მაქვს. კლუბის პრეზიდენტი ილია გერკუსი მიცნობს, იცის ვინ ვარ. გარდა ამისა, რუსულ გუნდში მუშაობს იური სიომინი და მასთან დაახლოებული პირები.

*– რამდენს შეადგენს ზუგდიდის ბიუჯეტი?*

– მესამე ლიგის კლუბები სახელმწიფოსგან 200.000 ლარს იღებენ. თუ ეროვნულ ლიგა 2-ში ვითამაშებთ, 700.000 მივიღებთ, უმაღლეს ლიგაში კი თანხა კიდევ უფრო იზრდება. როგორც მინიმუმ 2 სეზონია საჭირო, რომ ელიტარულ გათამაშებას დავუბრუნდეთ.

*– გაიხსენეთ ზუგდიდის საფეხბურთო კლუბი, როდესაც თქვენ იქ თამაშობდით. როგორი გუნდი იყო?*

– როგორც ზუგდიდში მისვლისას, ასევე მოსკოვის ლოკომოტივში გადასვლისას, ყველაზე უმცროსი მე ვიყავი, თუმცა თანაგუნდელთა მხარდაჭერით, მათი დარიგებებით ვსწავლობდი, როგორ უნდა მემოქმედა. ჩემი თამაშის დროს ზუგდიდი საკუთარ მოედანზე ძალიან ძლიერი იყო, აქ თამაში ყველას ეშინოდა.

*– იური სიომინის მოწვევის სურვილი გაქვთ?*

– მშვენიერი იქნებოდა, მაგრამ მის მოწვევისთვის დიდი ფინანსური შესაძლებლობებია საჭირო. ისე, ლოკომოტივის ხელმძღვანელებისა და იური სიომინის მოწვევაზე ვფიქრობ, თუმცა სხვა კუთხით – მსურს ვანახო, როგორი ვითარებაა ჩვენს გუნდში. ჩემს გეგმებში ყველაზე საინტერესო კლუბის აკადემიაა, სადაც თამაშის სურვილი ბევრ დამწყებ ფეხბურთელს აქვს.

*– როდისთვისაა მოსალოდნელი ზუგდიდის ჩემპიონთა ლიგაზე გასვლა?*

– 2 წლის შემდეგ! სერიოზულად რომ ვიმსჯელოთ, მსურს შევქმნა გუნდი, სადაც ფეხბურთელებს ერთმანეთი ეყვარებათ, ასე იყო იური სიომინის ლოკომოტივში და მსურს ასეთი კარგი გარემო შევქმნა ზუგდიდშიც. ჩემს დროს ლოკოში, ფეხბურთელები ოჯახებით ვმეგობრობდით. თუ სიყვარული იქნება, მაშინ არაფერია წარმოუდგენელი.

*– თქვენს კლუბში მიიყვანთ სამივე ვაჟს?*

– უფროსი, რომელიც 14 წლისაა, ჩვენს გუნდში ვარჯიშობს, ხოლო უმცროსები თბილისის დინამოს აკადემიაში ირიცხებიან. იმედი მაქვს, ერთი მაინც ითამაშებს დიდ ფეხბურთს.

# დინამომ ლიდერობა ქუთაისს გადაულოცა

**დინამო-ოლიმპი 58:67**

**(17:15, 13:12, 17:12, 11:28)**

თბილისის დინამოს ცუდი ახალი წელი აქვს – 2018 წელს გამართული 3 მატჩიდან საქართველოს ჩემპიონმა ყველა წააგო, რაც სუპერლიგაში ლიდერობის დაკარგვად დაუჯდა. ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილი დინამოელები თბილისის ოლიმპიურ სასახლეში ოლიმპს შეხვდნენ და უხეიროდ ჩატარებული ბოლო პერიოდის გამო მატჩი 9 ქულით – 58:67 დათმეს.

ეს გახლდათ დინამოელთა ზედიზედ მე-3 მარცხი – ხოშტარიას გუნდმა ჯერ მგზავრებთან, შემდეგ – ბათუმთან, ბოლოს კი ოლიმპთან წააგო. არადა, ჩემპიონს წასაგები თითქოს არაფერი ემუქრებოდა. დინამოელებმა მეტოქის წინააღმდეგობა დაძლიეს და მესამე პერიოდის ბოლოსთვის 8 ქულით დაწინაურდნენ – 47:39.

ოლიმპის მოთამაშეებმა გადამწყვეტ პერიოდში ძალიან მოინდომეს, მათ დინამოელთა შეცდომებიც დაეხმარათ და მათი უპირატესობიდან 2 წუთში აღარაფერი დარჩა. ამერიკელი ლეგიონერის – მორის ჰილის, მერაბ ბოქოლიშვილის, რევაზ როგავას და ახალწვეული ჰამედ ალის შედეგიანობით ოლიმპმა ხელჩასაჭიდი ლიდერობა მოიპოვა, რომელიც თამაშის ბოლომდე ისე შეინარჩუნა, რომ ვითარება არც დაძაბულა.

გამარჯვებულებს 26 ქულით მორის ჰილმა ულიდერა. ბოქოლიშვილის ანგარიშზე 14 ქულა დაგროვდა, ხოლო რევაზ როგავამ ოლიმპელებს 10 ქულა და 5 პასი შესძინა. დინამოში 13 ქულით და 11 მოხსნით ილია ლონდარიძე გამოირჩა. 14 ქულა ლაველ ბოიდის ანგარიშზეა.

ლეონიდ ივატინის, დავით როგავასა და დიმიტრი ჟაკობოვის გაწვრთნილმა ოლიმპელებმა უმნიშვნელოვანესი გამარჯვება იზეიმეს. მათ ახლა 9 მოგება და 5 მარცხი აქვთ და ანალოგიური შედეგის მქონე რუსთავთან ერთად ლიდერების – ქუთაისისა და დინამოს ზურგსუკან არიან. რაც შეეხება ლიდერს, ის ამ მატჩის შემდეგ შეიცვალა. დაკარგული ქულებით პირველ ადგილზე 3 წაგების მქონე ქუთაისია, ხოლო დინამოელებმა ჩემპიონატში მე-4 მარცხი განიცადეს და მეორე ადგილზე გადაინაცვლეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ქუთაისი | 14 | 11 | 3 | 1208:1076 | 25 |
| 2.დინამო | 14 | 10 | 4 | 1142:1006 | 24 |
| 3.ბათუმი | 15 | 9 | 6 | 1147:1049 | 24 |
| 4.ოლიმპი | 14 | 9 | 5 | 1100:1013 | 23 |
| 5.რუსთავი | 14 | 9 | 5 | 1129:1050 | 23 |
| 6.კაქტუსი | 14 | 7 | 7 | 1082:1130 | 21 |
| 7.მგზავრები | 14 | 5 | 9 | 1058:1172 | 19 |
| 8.დელტა | 14 | 3 | 11 | 1057:1197 | 17 |
| 9.სოხუმი | 15 | 1 | 14 | 1098:1328 | 16 |




# შედეგები

**15 იანვარი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

მანჩესტერი-სტოკი ........................ 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 23 | 20 | 2 | 1 | 67-17 | 62 |
| 2.მანჩესტერი | 23 | 15 | 5 | 3 | 48-16 | 50 |
| 3.ლივერპული | 23 | 13 | 8 | 2 | 54-28 | 47 |
| 4.ჩელსი | 23 | 14 | 5 | 4 | 41-16 | 47 |
| 5.ტოტენჰემი | 23 | 13 | 5 | 5 | 46-21 | 44 |
| 6.არსენალი | 23 | 11 | 6 | 6 | 41-30 | 39 |
| 7.ბარნლი | 23 | 9 | 7 | 7 | 19-20 | 34 |
| 8.ლესტერი | 23 | 8 | 7 | 8 | 34-32 | 31 |
| 9.ევერტონი | 23 | 7 | 6 | 10 | 25-38 | 27 |
| 10.უოტფორდი | 23 | 7 | 5 | 11 | 33-42 | 26 |
| 11.ვესტ ჰემი | 23 | 6 | 7 | 10 | 29-41 | 25 |
| 12.კრ.პალასი | 23 | 6 | 7 | 10 | 21-33 | 25 |
| 13.ბორნმუთი | 23 | 6 | 6 | 11 | 24-35 | 24 |
| 14.ჰადერსფილდი | 23 | 6 | 6 | 11 | 19-39 | 24 |
| 15.ნიუკასლი | 23 | 6 | 5 | 12 | 21-31 | 23 |
| 16.ბრაიტონი | 23 | 5 | 8 | 10 | 17-29 | 23 |
| 17.საუთჰემპტონი | 23 | 4 | 9 | 10 | 23-34 | 21 |
| 18.სტოკი | 23 | 5 | 5 | 13 | 23-50 | 20 |
| 19.ვესტ ბრომვიჩი | 23 | 3 | 10 | 10 | 18-30 | 19 |
| 20.სუონსი | 23 | 4 | 5 | 14 | 14-35 | 17 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბეტისი-ლეგანესი ........................ 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 19 | 16 | 3 | 0 | 52-9 | 51 |
| 2.ატლეტიკო | 19 | 12 | 6 | 1 | 28-8 | 42 |
| 3.ვალენსია | 19 | 12 | 4 | 3 | 40-19 | 40 |
| 4.რეალი | 18 | 9 | 5 | 4 | 32-17 | 32 |
| 5.ვილიარეალი | 19 | 9 | 4 | 6 | 26-21 | 31 |
| 6.სევილია | 19 | 9 | 2 | 8 | 23-28 | 29 |
| 7.ბეტისი | 19 | 8 | 3 | 8 | 33-36 | 27 |
| 8.ეიბარი | 19 | 8 | 3 | 8 | 24-31 | 27 |
| 9.ხეტაფე | 19 | 7 | 5 | 7 | 23-18 | 26 |
| 10.ხირონა | 19 | 7 | 5 | 7 | 28-28 | 26 |
| 11.სელტა | 19 | 7 | 4 | 8 | 33-27 | 25 |
| 12.ბილბაო | 19 | 6 | 7 | 6 | 21-20 | 25 |
| 13.ლეგანესი | 18 | 7 | 3 | 8 | 15-17 | 24 |
| 14.ესპანიოლი | 19 | 6 | 6 | 7 | 16-22 | 24 |
| 15.სოსიედადი | 19 | 6 | 5 | 8 | 33-34 | 23 |
| 16.ლევანტე | 19 | 3 | 9 | 7 | 15-26 | 18 |
| 17.ალავესი | 19 | 6 | 0 | 13 | 14-27 | 18 |
| 18.დეპორტივო | 19 | 4 | 4 | 11 | 21-37 | 16 |
| 19.მალაგა | 19 | 3 | 2 | 14 | 13-33 | 11 |
| 20.ლას პალმასი | 19 | 3 | 2 | 14 | 14-46 | 11 |

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მორეირენშე-სეტუბალი ................. 2:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ოლიმპიაკოსი-ლამია ..................... 2:0

**ჩოგბურთი**

**ავსტრალიის ღია პირველობა**

**კაცები**

შაფრანეკი-ვესელი ............ 4:6,3:6,3:6
ბენეტო-დანიელი ......... 6:7,7:6,6:4,6:1
ლაცკო-რაონიჩი .......... 6:7,7:5,6:4,7:6
ბერენტინი-მანარინო ......... 4:6,4:6,4:6
კიკერი-ტომპსონი .. 6:3,6:1,4:6,3:6,6:3
ალბოტი-ფუჩოვიჩი ...... 2:6,3:6,6:4,5:7
ბაუტისტა-ვერდასკო .......... 1:6,5:7,5:7
შტებე-მარტერერი .............. 0:6,3:6,4:6
სონეგო-ჰასე ................ 6:3,7:5,6:7,7:5
კუერი-ლოპესი .................... 6:3,6:4,6:2
გოფინი-ბაჰინგერი ...... 6:7,6:3,6:2,6:4
კუკუშკინი-გოევჩიკი .......... 3:6,3:6,1:6
ფაბიანო-ზვერევი ............... 1:6,6:7,5:7
ბერანკისი-ვავრინკა .... 3:6,4:6,6:2,6:7
ჯონსონი-კუდლა ......... 7:6,3:6,6:7,2:6
დონსკოი-მაიერი ................ 6:4,6:4,6:4
დონალდსონი-ვინოლასი .... 2:6,3:6,4:6
ჯოკოვიჩი-იანგი ................ 6:1,6:2,6:4
ჩარდი-შანდგრენი ............. 4:6,6:7,2:6
ჩმიჩეკი-პოპირინი ........ 6:3,6:7,6:3,6:3
სებალოდი-ფოფინი .............4:6,4:6,5:7
სკვონი-შტრუფი ................. 1:6,2:6,4:6
კოკინაკისი-მედვედევი 2:6,7:6,6:7,4:6
მონფისი-მუნარი ................6:3,7:6,6:4
გასკე-კავჩიჩი ......................6:1,6:4,7:5
ხაჩანოვი-პოლანსკი ............7:6,7:6,6:4
გარსია ლოპესი-პერი .. 6:0,6:7,6:1,6:4
ბერდიხი-მინაიური ...... 6:3,3:6,6:0,6:1
ბედენე-ფედერერი .............3:6,4:6,3:6
ტიმი-პელია ......................6:4,6:4,6:4

**ქალები**

ბლინკოვა-პერა ........................2:6,2:6
სეპედე-პლიშკოვა .................... 3:6,4:6
კონტა-ბრენგლი ...................... 6:3,6:1
ანი-სტრიცოვა ......................... 1:6,5:7
ვიტჰეპტი-გარსია .................... 5:7,3:6
ნარა-ვონდროუშოვა ................ 5:7,4:6
არუაბარენა-ჰოგენკამპი .......... 6:1,6:2
შაფარჟოვა-ტომლიანოვიჩი .....7:5,6:3
კერბერი-ფრიძამი .................... 6:0,6:4
მარია-შარაპოვა ....................... 1:6,4:6
ჰიბინო-ვეკიჩი ......................... 5:7,3:6
ჟაბერი-ვესნინა ........................ 3:6,4:6
მაკჰეილი-სასნოვიჩი ............... 3:6,2:6
კირსტეა-დიასი ..................5:7,6:4,6:3
კაბრერა-მაია ........................... 6:7,4:6
ლუჩიჩი-როჯერსი .............7:6,5:7,6:2
ბუშარი-დოდენი ....................... 6:3,7:6
ლეპჩენკო-სევასტოვა ........ 6:3,3:6,2:6
ვანი-კიზი ................................. 1:6,5:7
ჰალეპი-ეიავა ........................... 7:6,6:1
ჰერცოგი-ალექსანდროვა ......... 6:7,4:6
პეტკოვიჩი-კვიტოვა ....... 6:3,4:6,10:8
ვიხლიანცევა-ცურენკო ...... 6:3,3:6,4:6
ოსაკა-კუცოვა ........................... 7:5,6:2
სე-ჩჟუ ................................0:6,6:0,8:6
ჯორჯი-კალინსკაია ................. 6:4,6:3
დევისი-ჩეპელოვა ..............6:7,6:3,6:1
პლიშკოვა-ა.რადვანსკა ......6:2,3:6,2:6
მუგურუზა-პონშე ..................... 6:4,6:3
პუტინცევა-უოტსონი ............... 7:5,7:6
მლადენოვიჩი-ბოგდანი ........... 3:6,2:6

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ევროპელი ქართველები ყოჩაღობენ, ფაჩულია ისვენებს

ნბა-ს გასული სეზონის ფინალისტები კლივლენდში შეხვდნენ. ლებრონ ჯეიმსის კლივლენდმა ჩემპიონ გოლდენ სტეიტს უმასპინძლა და 108:118 დამარცხდა.

ოკლენდელთა ქართველ ცენტრს არ უთამაშია, მის ნაცვლად სასტარტო ხუთეულში ახალწვეული ჯორდან ბელი გამოჩნდა. მიზეზი, თუ რატომ არ ითამაშა ფაჩულიამ, არ სახელდება. მატჩის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ზაზა სასტარტო ხუთეულში არ იქნებოდა და მას ჯორდან ბელი შეცვლიდა, თუმცა ის მოედანზე არ გამოსულა.



თორნიკე შენგელიამ კი მორიგი გამორჩეული მატჩი ბასკონიაში აჩვენა, რომელიც მოგებით ვერ დაფასდა. ბასკური გუნდის ქართველმა კაპიტანმა დიდებულად ითამაშა ტენერიფეში, თუმცა თანაგუნდელებმა სათანადოდ მხარი ვერ აუბეს და გამარჯვება მასპინძელ იბეროსტარს დარჩა – 86:74.

შენგელია სასტარტო ხუთეულში არ იმყოფებოდა, თუმცა მოედანზე გამოსვლისთანავე იკისრა ლიდერის ფუნქციები და მატჩის საუკეთესო შედეგიც დააფიქსირა. თორნიკემ 7-დან 6 ორქულიანი, 5-დან 3 სამიანი და 8-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. მოგროვებულ 25 ქულას შენგელიამ 8 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 პასი მოაყოლა და მოედანზე მყოფთაგან საუკეთესო იყო. ქართველი ლეგიონერის ეფექტურობის ინდექსმა მატჩში უმეტესი 28 ერთეული შეადგინა.

ბასკონიას 9 მოგების წილ 7 მარცხი მოუგროვდა და ცხრილში 5-8 ადგილებს ანალოგიური შედეგის მქონე გუნდებთან – გიორგი შერმადინის უნიკახასთან, გრან კანარიასთან და ტენერიფესთან იყოფს. შემდეგ ტურში ბასკონია რეალ ბეტისს უმასპინძლებს.

გიორგი შერმადინის უნიკახამ კი, ესპანეთის ჩემპიონატში უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა. იმ დარბაზში, სადაც წინა კვირაში ბარსელონამ მოსკოვის ცსკა დაამარცხა, მალაგელებმა კატალონიურ გუნდს ბრძოლაში მოუგეს. უნიკახამ ბარსელონურ გრანდს 76:73 აჯობა, თუმცა ბოლო პერიოდის დაწყებამდე 23 ქულით იგებდა და მატჩის ბედიც ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო. მასპინძლებმა ბოლომდე იბრძოლეს და საქმე გამთანაბრებელ სამქულიანამდე მიიყვანეს, რომელიც საფინალო სირენის თანხლებით მალაგელთა ფარში არ ჩაეშვა.

ამ ხმაურიან გამარჯვებაში სოლიდური წვლილი ქართველ ცენტრს მიუძღვის, რომელიც მალაგური გუნდის სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე არასრული 18 წუთი გაატარა. შერმადინმა 8-დან 5 ორქულიანი და 3-დან 1 საჯარიმო ჩააგდო. გიორგის ანგარიშზე მთლიანობაში 11 ქულა, 9 მოხსნა და 3 პასი დაგროვდა. შერმადინის მარგი ქმედების კოეფიციენტმა 20-ს უწია, რაც ამ მაჩვენებელში საუკეთესო კარლოს სუარესის მონაგარზე 4-ით ნაკლებია.

მალაგელთა სატურნირო მდგომარეობაზე ზემოთ ვთქვით, მომდევნო ტურის შეხვედრას კი შერმადინის გუნდი შინ კონკურენტ გრან კანაარიასთან ჩაატარებს.

სუპერმატჩი იტალიის სერია აში მანუჩარ მარკოიშვილმა. ქართველმა მსროლელმა რეჯიო ემილიაში 25 ქულა ჩააგდო, თუმცა თავისი გუნდის გამარჯვებას ეს შედეგი არ ეყო. აღსანიშნავია, რომ მანუჩარმა 25 ქულა რეჯიო ემილიაში მეორედ მოაგროვა.

რეჯიოემილიელები სტუმრად ვირტუს ბოლონიას შეხვდნენ და 10 ქულის სხვაობით – 75:85 დამარცხდნენ. ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო შედეგი ქართველმა ლეგიონერმა აჩვენა. მარკოიშვილმა 10-დან 6 სამქულიანი, 5-დან 1 ორიანი და 6-დან 5 საჯარიმო ჩააგდო. შედეგად მანუჩარს 25 ქულა მოუგროვდა, რასაც მან 9 მოხსნა და 4 პასიც მოაყოლა და მარგი ქმედების კოეფიციენტი 32-ამდე გაზარდა.

5 მოგებითა და 10 მარცხით რეჯიო ემილია 16-გუნდიან სერია აში მე-12 ადგილზეა. მომდევნო მატჩი მარკოიშვილის გუნდს შინ ჩემპიონატის ლიდერ აველინოსთან ელის.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# დანტისტი-ჰიპნოზიტიორი ბიჭების შეცდენისთვის ციხეში აღმოჩნდა

ავსტრალიელ ყოფილ კბილის ექიმს რვა წლით პატიმრობა მიესაჯა არასრულწლოვანი ბიჭების ჰიპნოზის გამოყენებით შეცდენისთვის.



ქალაქ არმიდეილის მცხოვრებლები ამტკიცებენ, რომ 82 წლის ვერნერ ოტო შვარცი შესანიშნავ მეზობლად ითვლებოდა. თუმცა 2017 წელს მას 17 სექსუალურ დანაშაულში წაუყენეს ბრალი, რომელიც მან ოთხი 16 წელს მიუღწეველ ბიჭთან ჩაიდინა. დანაშაულებრივ ქმედებებს ადგილი 1981-დან 1984 წლის პერიოდში ჰქონდა. დაზარალებულებს კბილის ექიმის მხრიდან სექსუალური ძალადობის თაობაზე 2013 წლამდე არ განუცხადებიათ.

სასამართლო სხდომაზე გაირკვა, რომ მამაკაცი ჰიპნოზის ტექნიკას იმისთვის დაეუფლა, რომ პაციენტებს დახმარებოდა თავი მშვიდად ეგრძნოთ. ის ცდილობდა, ჰიპნოზი გაეკეთებინა არასრულწლოვანი ბიჭებისთვისაც, რათა მათ მისი მხრიდან განხორციელებული სექსუალური ძალადობა დაევიწყებინათ, თუმცა ეს არ მომხდარა, წლების შემდეგ მათ მომხდარის შესახებ დაწვრილებით ისაუბრეს.

# მეხორცე გაყინვას ძეხვის წყალობით გადაურჩა

სამაცივრო კამერაში ჩარჩენილი ბრიტანელი მამაკაცი სისხლის ძეხვის წყალობით გადარჩა. თავისი ისტორია მან ბრიტანულ ტელეკომპანია „ბი-ბი-სის“ მოუყვა.



70 წლის კრის მაკეიბი, ქალაქ ტოტნესიდან, თავისი ხორცის განყოფილების სამაცივრო კამერაში შევიდა, როდესაც უცბად მის ზურგს უკან კარი მიიხურა. ის შეეცადა თავი გაეთავისუფლებინა, მაგრამ კარის გასაღები ღილაკი გაიყინა და არ მუშაობდა.

როდესაც მაკეიბი მიხვდა, რომ მისი კარზე კაკუნის ხმა გარეთ არავის ესმოდა, მან თაროზე სისხლის ძეხვის დიდი ნაჭერი შენიშნა. მან გადაწყვიტა, ძეხვით ღილაკისთვის ყინული მოეცილებინა და ასე მოეხერხებინა მისი ამუშავება.

– ამ სისხლის ძეხვმა გადამარჩინა, ვინ იცის, რა დამემართებოდა ერთი საათის შემდეგ 20 გრადუს ყინვაში, – განაცხადა მაკეიბმა. უფრო მეტიც, ეს ძეხვი ერთადერთი აღმოჩნდა მაცივარში, ვინაიდან ის საკმაოდ პოპულარულია მეხორცის კლიენტებს შორის.

# ნარკოტიკებით გაბრუებული მძღოლი პოლიკლინიკის მეორე სართულზე მანქანით აფრინდა

ამერიკის ქალაქ სანტა-ანაში ავტომობილის მძღოლი სტომატოლოგიური პოლიკლინიკის მეორე სართულზე შევარდა. ამ ინფორმაციას ადგილობრივ პოლიციაზე დაყრდნობით ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.




გზაზე დიდი სიჩქარით მიმავალი ავტომობილი ბორდიურს დაეჯახა, რის შედეგადაც ზევით ავარდა და სტომატოლოგიური პოლიკლინიკის მეორე სართულზე აღმოჩნდა. საჭესთან მჯდომმა მძღოლმა და მისმა მგზავრმა მსუბუქი ტრავმები მიიღეს და ისინი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამავე დროს მძღოლმა აღიარა, რომ ნარკოტიკებს მოიხმარდა.

მანქანის შენობიდან გამოსატანად სახანძრო დაცვის სამსახურის გამოძახება გახდა საჭირო.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ასტროპროგნოზი

## 17 იანვარი



**ვერძი** – ხელმძღვანელობასთან და კოლეგებთან უთანხმოება იჩენს თავს. მოულოდნელი შეხვედრის გამო გეგმები შეგეცვლებათ. **კურო** – შეუპოვრად იზრუნეთ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ახალ ნაცნობობაზე უარს ნუ იტყვით. **ტყუპები** – არაკეთილისმყოფელი დღეა. თავი არავის მოატყუებინოთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კირჩხიბი** – თავს კარგად გრძნობთ. ზედმეტი აქტიურობა არ გარგებთ. ლაღად და ძალდაუტანებლად იმოქმედეთ. **ლომი** – პარტნიორთან ურთიერთობაში შესაძლოა ბზარი გაჩნდეს. იმედი გაგიცრუვდებათ. **ქალწული** – ნებისმიერი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება დამოუკიდებლად და თამამად მიიღეთ. პლანეტები გმფარველობენ. **სასწორი** – ემოციურად დაძაბული ხართ. სძლიეთ ცდუნებასა და სიხარბეს. **ღრიანკალი** – იზრუნეთ გარეგნობის შეცვლაზე. კორექტივები შეიტანეთ ჩაცმულობაში, ქცევის მანერაში. **მშვილდოსანი** – მოვლენებს მეტისმეტად ემოციურად აღიქვამთ. მოდუნდით და ცხოვრების დინებას მიჰყევით. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა. სამსახურში პოზიტიური სიახლეები გელით. **მერწყული** – აქტიურობა, ინტრიგებში ჩართვა დაუშვებელია. თქვენი საქმე თავმდაბლად აკეთეთ. **თევზები** – დღის მეორე ნახევარში ნებისმიერი კონტაქტი იღბლიანი იქნება. იზრდება თქვენი ავტორიტეტი.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 2. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი; 3. გეომეტრიული ფიგურა; 4. პატარა, ხუჭუჭბეწვიანი, დეკორატიული ჯიშის ძაღლი; 5. ქართული ხალხური ცეკვა; 8. ერთ-ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგური გერმანიაში; 9. ქართველი მხატვარ-კერამიკოსი ქალი; 12. სამხრეთაფრიკელი ქირურგი, რომელმაც პირველმა განახორციელა გულის გადანერგვის წარმატებული ოპერაცია; 13. მსუსხავი ბალახი; 16. სასტუმრო გაგრაში; 17. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ქართული ფირმა; 19. ჯარების საზეიმო დათვალიერება; 20. აბანოს თანამშრომელი.

**თარაზულად**: 6. ექიმბაშის ძველი ქართული სახელწოდება; 7. დაკეპილი ხორცისგულიანი სვანური ორცხობილა; 8. ბელგიის ფეხბურთელთა გუნდი; 10. ფაიფურის წარმოებაში გამოყენებული, თეთრი ფერის ცეცხლგამძლე თიხა; 11. ძველებური, დაბალყელიანი, რბილი ტყავის ფეხსაცმელი საქართველოში; 14. კუნძულოვანი სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში; 15. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 18. სპარსელი პოეტი; 21. ბატის ძველი ქართული სახელწოდება; 22. ფულის ერთეული ყაზახეთში; 23. ორსახოვანი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 24. ჩაის დეგუსტატორი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ფირალი; 2. ხანუკა; 3. ენოლოგია; 4. ვლტავა; 6. ტალახაძე; 8. ოდისეა; 11. საგურამო; 12. სატურნი; 16. ტაიგა; 17. ალუჩა; 18. ბრერა.

**თარაზულად**: 1. ფოცხოვი; 5. ფიატი; 7. ენისელი; 9. აბსურდი; 10. ბავარია; 13. ერლიფტი; 14. ლაღიძე; 15. ბანა; 19. გუდიარი; 20. კლიასერი; 21. საბურთალო; 22. ჯორჯია.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ლიპტონი; 2. კრევეტი; 3. ნიველირი; 4. ციცარი; 5. შლიმანი; 8. პაუპერი; 9. მარჩვიბი; 12. ტრავერსი; 13. ბეიძინი; 16. სხვიტორი; 17. მარაზმი; 19. ოკრიბა; 20. ნუტრია.

**თარაზულად**: 6. ქიმერიონი; 7. ჰიმალაი; 8. პრერია; 10. ზოსტერა; 11. დაბა; 14. კვესტურა; 15. ყარაყუმი; 18. ახმეტა; 21. კანბერა; 22. ბურჟუე; 23. არაგვი; 24. ვირსალაძე.

# ბერლინალეს კინოფესტივალზე დათო ტურაშვილის „სხვა ამსტერდამს“ წარადგენენ

ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი და ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა თანამშრომლობის ფარგლებში, ბერლინალეს კინოფესტივალის ერთ-ერთი სექციისთვის ქართული ლიტერატურული ნაწარმოები პირველად შეირჩა.

19 თებერვალს ბერლინში დაგეგმილ ფიჩინგზე მსოფლიო კინოინდუსტრიის წარმომადგენლების წინაშე დათო ტურაშვილის რომანი „სხვა ამსტერდამი“ წარდგება.




აღნიშნულ ფორმატში აპლიკაციები ყოველწლიურად მთელი მსოფლიოდან იგზავნება, სპეციალური ჟიური კი მხოლოდ 12 საუკეთესოს არჩევს. გასული წლის ფიჩინგზე კინოადაპტაციების შესაქმნელად წიგნები შვეიცარიიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ნორვეგიიდან, ფინეთიდან, ბელგიიდან და ბრაზილიიდან შეირჩა.

# გურამ შეროზია მამა გახდება

ბლოგერი გურამ შეროზია მამა გახდება. ეს სასიხარულო ინფორმაცია გურამმა თავად გაავრცელა და თავის პირველ ემოციებზე ათასობით გულშემატკივარს სოციალურ ქსელში გულახდილად ესაუბრა:

– აუ, ვწერ და მეტირება! ამდენი წელია ვხვდები ახალ წელს, ვიღებ საჩუქრებს, ვბედნიერდები... მაგრამ ეს ახალი წელი ყველაზე მეტი ოცნების ახდენის წელია, ყველაზე საათოოცარი დასაწყისით!

სულ მეგონა, რომ როცა ამ ამბავს გავიგებდი, ისტერიკა დამემართებოდა, მოვრთავდი ყვირილს, ტირილს, ა.შ. თუმცა სულ სხვანაირად მოხდა, როცა ფაქტის წინაშე დავდექი...



დავმუნჯდი.

არ მჯეროდა.

მერე მთელი ღამე არ მიძინია, რაღაც უცნაურ შეგრძნებებს განვიცდიდი.

მაშინაც კი ვერ ვიჯერებდი, როცა მესმოდა, როგორ სუნთქავდა.

მოკლედ... მიხვდით ალბათ, რომ...

მამა გავხდები!!!!

მამა

მამა

მამა

მეეეე

არ მჯერაააააა!!!!

# სამგლოვიარო განცხადებები

ვალერი და დოდო აბრალავები თანაგრძნობას უცხადებენ ლავრენტი ჭუმბურიძეს მეუღლის

**ლამარა შუბითიძე-ჭუმბურიძის**

გარდაცვალების გამო.



ვალერი და დოდო აბრალავები თანაგრძნობას უცხადებენ გიორგი, დათო და ბექა ჭუმბურიძეებს დედის

**ლამარა შუბითიძე-ჭუმბურიძის**

გარდაცვალების გამო.

თსუ სააღრიცხვო-ეკონომიკური ფაკულტეტის 1979 წლის კურსდამთავრებულები

სამძიმარს უცხადებენ ლავრენტი ჭუმბურიძეს მეუღლის

**ლამარა შუბითიძე-ჭუმბურიძის**

გარდაცვალების გამო.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის რეგიონალური სეისმოლოგიის განყოფილების ყოფილი თანამშრომელი, ღვაწლმოსილი მეცნიერი, თავისი საქმის უბადლო სპეციალისტი, სათნო და კეთილშობილი პიროვნება

**ცისანა ამბროსის ასული ტაბუცაძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# გიორგი კეკელიძემ უხუცესი ბიბლიოთეკარი დააჯილდოვა



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა გიორგი კეკელიძემ უხუცესი ბიბლიოთეკარი „საუკუნის ბიბლიოთეკარის“ ჯილდოთი დააჯილდოვა.

გიორგი კეკელიძე ლეილა ზამბახიძეს თანამშრომლებთან ერთად პირადად ესტუმრა:

– ამ დიდებულ ქალს ვესტუმრე თანამშრომლებთან ერთად. ლეილა ზამბახიძე, ეროვნული ბიბლიოთეკის ლეგენდა, მალე ოთხმოცდაათი წლის გახდება. როცა დაურეკეს და უთხრეს, რომ მისვლას ვაპირებდი, უთქვამს, ალბათ პენსიაზე გაშვების ბრძანება უნდა მომიტანოსო. ამ ბოლოს ცოტა ავადმყოფობს და შინ არის, ალბათ ამიტომაც იხუმრა ასე. თუ არ იხუმრა, ნათქვამი მაინც ხუმრობად დარჩება, ქალბატონი ლეილა, ჩვენი გადაწყვეტილებით, სულ მცირე, 105 წლამდე იმუშავებს ბიბლიოთეკაში. რადგან სანტა უნდა ვყოფილიყავი, ასეთი საჩუქარი მოვიფიქრე, ლეილა ზამბახიძე საუკუნის ბიბლიოთეკარის წოდების მატარებელია! ეს ქალი განა მხოლოდ ბიბლიოთეკის წარსული, მისი მომავალიცაა, შემართება გადამდები აქვს, ცოდნა და სიახლეებისკენ სწრაფვა, შესაშური. შეიხედეთ მის ფეისბუქზე და იოლად დარწმუნდებით.

# „ხატების გიფ ფოტოები შეიცავს კოდურ რიცხვს 666“

აცხადებს დავით ვაშაკიძე და გიფ ფოტოებსა და ჩიტუნებით, ცისარტყელებითა და ყვავილებით გალამაზებულ მისალოც ტექსტებზე ინფორმაციას აქვეყნებს:

– გავიგე ძალიან ცუდი ამბავი და გთხოვთ, გააზიაროთ ყველამ!

თურმე ის გიფ ფოტოები, რომლებზეც არის ხატები და მისალოცი ტექსტები, მათ შორის ჩიტუნები, ცისარტყელები, ყვავილები და ა.შ. შეიცავს კოდურ რიცხვს 666-ს. ეს მითხრა ერთმა ციფრულ ტექნოლოგიებში გარკვეულმა და ძალიან კომპეტენტურმა ადამიანმა, რომელიც ამჟამად უცხოეთშია. ეს ფოტოები ხომ ციფრული არის, როგორც ფაილი და თურმე ყველა მათგანი ამის გამო შეიცავს ამ ავადსახსენებელ 666-ს.

ასე რომ, გთხოვთ, ნუღარ დააგზავნით გიფ ფოტოებს, სადაც არის ხატები და მისალოცი ტექსტები, ამით პირდაპირ ვემსახურებით ეშმაკს!



ასევე გთხოვთ, მეც ნუ გამომიგზავნით ასეთ ფაილებს. რა თქმა უნდა, არც სხვას გაუგზავნოთ, ან სხვისი ცუდი რატომ უნდა გვინდოდეს.

ეს არ იცის აქ მყოფი მომხმარებლებიდან თითქმის არავინ, ამიტომ თხოვნა იქნება და ასევე დიდი მადლი, რომ ეს გააზიაროთ, ვისაც არ დაგეზარებათ. ძალიან ბევრ ადამიანს დაიცავთ ამით!

# კახეთში უკანონო არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს



მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო მაქსიმალურად ცდილობს, შავი არქეოლოგია აღკვეთოს, ფაქტები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მაინც ხდება.

გურამ ლეგაშვილმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ კახეთში, კერძოდ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ ვერხვიანის ტერიტორიაზე უკანონო არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს:

– საგარეჯოს მუნიციპალური მერიის, სოფელ ვერხვიანის ტერიტორიაზე, ე.წ. ციხის მიმდებარედ შავი მაძიებლების ჯგუფი აწარმოებს უკანონო არქეოლოგიურ გათხრებს! ისინი აღჭურვილნი არიან მეტალოდეტექტორებით, სათხრელებით – ბარი, წერაქვი და ა.შ.

# ნანუკა გოგიჩაიშვილი მხატვარი გახდა




მოდელი ნანუკა გოგიჩაიშვილი მხატვარი გახდა.

მისი ნამუშევრების გამოფენა პირველ თებერვალს ჩიკაგოში გაიმართება. მოდელის პირველი წარმატების დასაწყისი შორეულ ამერიკაში იქნება, სადაც ნანუკას პერსონალური გამოფენა გაიხსნება.

**ნანუკა გოგიჩაიშვილი:**

– ჩემთვის ძალიან პირად და სასიხარულო სიახლეს გიზიარებთ. გთხოვთ, წარმატებები მისურვოთ ამ საქმეშიც. პირველ თებერვალს ჩიკაგოში გაიმართება ჩემი პირველი პერსონალური გამოფენა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ირლანდიელი მეკობრე-მოჩვენებაზე გათხოვდა

ირლანდიელი ქალბატონი მეკობრე მოჩვენებას გაჰყვა ცოლად. მან თავისი ისტორიის შესახებ, ერთ-ერთ ბრიტანულ გამოცემასთან ისაუბრა.

ამანდა ტიგმა აღიარა, რომ მოჩვენებას შეუძლია ოთახში ჩართოს და გამორთოს სინათლე, რადიო და ნივთები გადაადგილოს. 45 წლის ქალის თქმით, მისმა რჩეულმა უთხრა, რომ მას ჯეკი ჰქვია, მას მუქი ფერის კანი და თმები აქვს. მე-18 საუკუნეში ის მეკობრე იყო და სიცოცხლე ეშაფოტზე დაასრულა.

ქალს მიაჩნია, რომ ისინი ერთმანეთთან მეკობრეების ატრიბუტიკით მისმა გატაცებამ დააახლოვა, ის ანიმატორად მუშაობს და ჯეკ ბელურას გამოსახულებითაა დაკავებული. თავდაპირველად ტიგი სერიოზული ურთიერთობისთვის მზად არ იყო, მაგრამ მოჩვენება არ ეშვებოდა. ახლა კი ის თვლის, რომ ასეთი სიახლოვე თავის ყოფილ მეუღლესთანაც კი არ განუცდია, რომლისგანაც ხუთი შვილი გააჩინა.

მათ ცერემონია ნეიტრალურ წყლებში პატარა გემზე ჩაატარეს, ვინაიდან ირლანდიაში ქალს უარი უთხრეს მოჩვენებაზე დაქორწინებაზე. ქორწილს ესწრებოდა მედიუმი, რათა ჯეკს ფიცის დადებაში დახმარებოდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## პროგრამა

ოთხშაბათი
17 იანვარი

07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 "მადაგასკარის პინგვინები" 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "მოამბე" 09.15 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 10.00, 01.49 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" 12.40, 21.30 "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" 13.00 დოკ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" 13.25 ტ/სერ. "**ელემენტარული**" 14.30 დოკ/ფ "ჯანმრთელობა-მუდამ კარგ ფორმაში" 15.30, 06.07 დოკ/ფ 16.30 ტ/სერ. "**ტრიუმფი**" 18.30 დოკ/ფ "გონების თამაშები" 20.00 ტ/სერ. "**ელემენტარული**" 22.15 ტ/სერ. "**ომი და მშვიდობა**" 23.15 დოკ/ფ "თოფ-გიარი" 00.15 მხ/ფ "**შობა კონუიეში**" 02.52 მხ/ფ "**ძებნილზე მონადირე**" 04.39 ტ/სერ. "**ტრიუმფი**"

06.30, 18.50, 19.03 სერ. "**დასაწყისი**" 1-2 სერ. 07.30, 08.15, 09.20 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, ქრონიკა 10.15, 11.20 სერ. "**ელიფი**" 12.30 იმედის დღე 14.40, 16.00 სერ. "**ტყუილი**" 17.45 სერ. "**ცოდვილი**" 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. "**დედა**" 22.00 პრაიმ შოუ 23.30 სერ. "**სიყვარულისთვის**" 3 სერ. 01.00 მხ/ფ "**შავი ზღვა**" 03.00 მხ/ფ "**ბედისწერა**" 05.05 მხ/ფ "**საჩუქარი**"

06.00, 18.50 სერ. "**მეორე შანსი**" 07.00 სერ. "**დედამთილი**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**ბედის ანაბარა**" 15.40 სერ. "**მზიანი დღეები**" 16.55 სერ. "**ოთხი ისტორია**" სერ. "**მეორე შანსი**" 20.03 სერ. "**დიდი ოჯახი**" - დაწყება 22.00 კომედი შოუ (ბესტი) 23.00, 00.00, 01.00, 02.00 მხ/ფ 01.50 კურიერის დაიჯესტი

tv პირველი 7.50 ან/ფ 8.00 საქმიანი დილა 11.00, ქალების ნარატივი 12.00 სერ. "**რამონზე შეყვარებული**" 13.00, 17.00, 22.00 საინფორმაციო გამოშვება - NEWS 14.00 ლევან ჩხაიძის დღის ამბები 15.00, 22.30, საქმის კურსი 16.00 ლევან ჩხაიძის დღის ამბები 17.50, 20.00 0.00, 2.00, მხ/ფ 23.00 სერ. "**დამალული სიმართლე**"

GDS 08.00 ან/ფ "ატომი" 09.00 სერ. "**ერთხელ ზღაპარში**" 12.00, 21.00 სერ. "**ელ პრინსიპე**" 13.00 სერ. "**კრიმინალური აზროვნება 7**" 17.00 სერ. "**ქუანტიკო**" 19.00 სერ. "**ჯაშუში 2**" 22.30 მხ/ფ "**ძვლების შემგროვებელი**" 00.45 მხ/ფ "**ბზარი**" 02.45 მხ/ფ "**გატაცება სამოც წამში**" 04.45 მხ/ფ "**გიჟური რბოლა**" 06.35 მხ/ფ "**გაქცევა**"

იბერია 08.00 ანანდა 08.10 სისი 08.30 სერ. "**ბანდოლერა**" 10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55 ტელემარკეტი 11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40, 00.00 ახალი ამბები 12.00 ანიმაცია 13.30, 17.30 ახალი ამბები არჩილ გამზარდიათან ერთად 14.30 ექიმის საათი 15.00, 02.00 მოდი გავეყაროთ 16.00, 3.00 ფაბრიკა 19.55 მე რომ ვიყო 20.00 დე ფაქტო 21.00 სერ. "**პირადი საქმე**" 22.00 სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" 23.00 ინტერვიუ ვანიჩკასთან 01.30 მხ/ფ

06.10 დ/ფ "ველური ბუნება" 06.30 მხ/ფ "**ნაცნობი მგზავრის დღიურები**" **შარდენი** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 საგალობელი 08.30 "განთიადი" 10.00 ფოტოგალერეა 10.10 ეთნოგრაფიული ჩანახატი 10.25 მხ/ფ "**მწვერვალი**" 12.00 საეკლესიო კალენდარი 12.10 მხ/ფ "**ვინ შეკაზმავს ცხენს**" 13.30 კონცერტი - ლექსო თორაძე,ნიკა მემანიშვილი 15.05 დ/ფ "ფენომენი" I ნაწ. 16.10 კონცერტი "ანს.რუსთავი" 16.40 მხ/ფ "**ვედრება**" 18.10 კონცერტი - ანდრე რიე 19.00, 22.00, 00.10 სიახლენი 19.25 "განთიადი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ძილი ნებისა 21.30 ეპოქის სახელები 22.20 მოკ. მხ/ფ "**ქართული გამბიტი**" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "ფრაგმენტები ტაო-კლარჯეთის ისტორიიდან" 00.00 საეკლესიო კალენდარი 00.15 მხ/ფ "**ეი,მაესტრო**" 01.35 კონცერტი -ანტონიო ვივალდი 03.30 მხ/ფ "**გამტაცებელთა კლუბი**" 05.00 დ/ფ "ფენომენი" I ნაწ.

მაესტრო 10.00 - 23.00 მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) 10.30 - 3.00 ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**17 იანვრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 2.5423
- ევრო — 3.1209
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5079
- 100 რუსული რუბლი — 4.5054

## ამინდის პროგნოზი 16 იანვრისთვის








## 28 დეკემბრიდან
### ჩემი შემეცნებითი ახალი წელი

ამ წიგნით ბავშვები გააკეთებენ ნაძვის ხის სათამაშოებს, შექმნიან მისალოც ბარათებს, დახატავენ თოვლის ბაბუას, ააწყობენ ფაზლებს და ამ ყველაფრით სიამოვნებით დაკავდებიან საახალწლო არდადეგებზე. ამას გარდა, მას შესანიშნავად გამოიყენებენ საბავშვო ბაღებშიც...

**ფასი გაზეთთან ერთად 5.50 ლარი**




## 9 იანვრიდან
ავთანდილ ბუხრაშვილის
### ქალი ჩანთაში

**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**

## 16 იანვრიდან
ალექსანდრე იასალაშვილი




### „მგლის ბილიკი“
ქართული დეტექტივი ტომი 1

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 19 იანვრიდან
ალექსანდრე იასალაშვილი




### შავი ვარდი
ქართული დეტექტივი ტომი 2

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 23 იანვრიდან
იორამ ჩადუნელი




### საზღაური
ქართული დეტექტივი ტომი 3

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 26 იანვრიდან
რომან გვენცაძე




### საბედისწერო გასროლა
ქართული დეტექტივი, ტომი 4

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 30 იანვრიდან
ჯემალ ჩახავა




### ქურდები და არიფები
ქართული დეტექტივი, ტომი 5

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**




## იუმორი

მამა შვილს ეუბნება:
– შვილო, ქალი, ეს არის სუსტი, დაუცველი არსება, რომლისგანაც თავის დაღწევა შეუძლებელია.

•••

80 წლის მოხუცს მიქელ გაბრიელი მიადგა წასაყვანად. მოხუცმა გადაწყვიტა მისთვის თავგზა აებნია. შვილიშვილებთან მაგიდას მიუჯდა და ფაფის ჭამა დაიწყო.
მიქელ გაბრიელი ეკითხება:
– რას აკეთებ?
– ფიას ვჭამ, ფიას.
– წამე, წამე და მელე ატაში წავიდეთ.

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:
– მე შენზე ბევრად ასაკოვანი ვარ, ამიტომ ალბათ პირველი მე მოვკვდები. შენ ხალხის დასანახად მიგლოვებ, მერე კი, როგორც კი დრო დადგება, გივის გაჰყვები ცოლად. ჩემი საფლავი უპატრონობისგან გავერანდება. შენ და გივი ჩემ ქონებას გაყიდით და საზღვარგარეთ წახვალთ...
– მოეშვი რა ფანტაზიორობას, ჯერ მოკვდი და მერე ვნახოთ...

•••

ცოლი და ქმარი ჩხუბობენ. ცოლი ქმარს უყვირის:
– იცი, მე, იცი, მე, იციი მე შენ საუკეთესო მეგობართან ვიწექი!
– და მე, და მე... მეც ვიწექი!!!

•••

ინდიელი ნადირობის მოყვარულებს მეგზურობას უწევს. უცბად მიწაზე დაწვება, ყურს დაადებს, შემდეგ წამოდგება და ეუბნება:
– შორიახლოს ბიზონების ჯოგია. აქ ახლახან ჩაიარეს.
აღფრთოვანებული ერთ-ერთი მონადირე ეკითხება:
– როგორ მიხვდით?
– ვერა ხედავ, ყურზე ნეხვი მაქვს.

•••

ხალხით სავსე ავტობუსში უცბად გოგონა მის უკან მდგომ მამაკაცს ეუბნება:
– რა უხამსობაა, ნუ მეკრობით, უკან დაიწიეთ, მომცილდით.
– გოგონა, ეს ის არაა, რაც თქვენ გგონიათ. დღეს ხელფასი ავიღე და ჯიბე გამობერილი მაქვს.
ორი გაჩერების შემდეგ გოგონა ისევ მიუბრუნდა მამაკაცს და ეუბნება:
– ახლა არ მითხრა, რომ ყოველი გაჩერების შემდეგ ხელფასი გეზრდება...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## რეალი იკარდიში 100 მილიონი ევროს გადახდას აპირებს




მადრიდის რეალი მზად არის, მაურო იკარდიში 100 მილიონი ევრო გადაიხადოს. წლევანდელი სეზონი რეალისთვის წარუმატებლად მიმდინარეობს და სამეფო გუნდი ზაფხულში სერიოზულად გეგმავს გაძლიერებას. რეალის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე სწორედ იკარდი იქნება, რომელიც ინტერის მთავარი ბომბარდირი და ლიდერია. ინტერი იკარდის იოლად არ დათმობს და რეალს სერიოზული ბრძოლა ელის იმისთვის, რომ იკარდი რეალის ფეხბურთელი გახდეს. თვითონ ფეხბურთელს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

## მინეოლე ლივერპულიდან წასვლაზე ალაპარაკდა




ლივერპულის მეკარე სიმონ მინეოლე გუნდში თავისი მდგომარეობით უკმაყოფილოა და ამბობს, რომ თუ არაფერი შეიცვალა, მან შეიძლება გუნდი დატოვოს.

ბოლო პერიოდში ლივერპულის კარს უფრო ხშირად ლორის კარიუსი იცავს და ამის გამო მინეოლე უკმაყოფილებას არ მალავს.

– მალე მსოფლიოს ჩემპიონატი იქნება და მინდა, ჩემს ნაკრებს დავეხმარო, ამისთვის კი გუნდში უფრო ხშირი თამაშია საჭირო. კლოპის გადაწყვეტილებას პატივს ვცემ, მაგრამ მინდა, მდგომარეობა შეიცვალოს, – განაცხადა სიმონ მინეოლემ.

მინეოლემ ასევე აღნიშნა, რომ მას ლივერპული უყვარს და ბოლომდე იბრძოლებს თავისი ადგილისთვის.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## როჯერ ფედერერმა ავსტრალიის ღია პირველობა მოგებით დაიწყო



შვეიცარიელმა ლეგენდამ როჯერ ფედერერმა ავსტრალიის ღია პირველობა გამარჯვებით დაიწყო და მეორე წრეში იოლად გავიდა.

ფედერერმა ალიაჟ ბედენე დაამარცხა, რომელიც მსოფლიოს 50-ე ჩოგანია. შემდეგ შეხვედრას როჯერი გერმანელ იან-ლენარდ შტრუფთან ჩაატარებს და, სავარაუდოდ, მას არც ამ შეხვედრაში გაუჭირდება გამარჯვების მოპოვება.

ფედერერს ავსტრალიის ღია პირველობა 5-ჯერ აქვს მოგებული და მან ამის გაკეთება შარშანაც მოახერხა, როდესაც მისგან უკვე აღარავინ ელოდა დიდი სლემის ტურნირის მოგებას.

## ემრე ჯანმა ლივერპულიდან წასვლა გადაიფიქრა

ლივერპულის თურქმა ფეხბურთელმა ემრე ჯანმა ლივერპულიდან წასვლა გადაიფიქრა და, სავარაუდოდ, მერსისაიდულ კლუბთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს.

ემრე ჯანის ყიდვა იუვენტუსს სურდა და ეს ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ბოლო მომენტში, როგორც ჩანს, ყველაფერი შეიცვალა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო შეხვედრებში ემრე ჯანი ძალიან დამაჯერებელია ლივერპულის შემადგენლობაში და ის სტაბილურად მაღალი დონის ფეხბურთს აჩვენებს.

## ლუის სუარესმა ბარსელონაში გადასვლის პერიოდი გაიხსენა

ბარსელონის ურუგვაელმა ის პერიოდი გაიხსენა, როდესაც ბარსელონაში მისი გადასვლის საკითხი წყდებოდა. სუარესის თქმით, მას შიში ჰქონდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მომხდარი ინციდენტის გამო ბარსელონა მასზე უარს იტყოდა.

– მაშინ მალე მივხვდი ჩემს შეცდომას და ძალიან გაბრაზებული ვიყავი. გარდა ამისა, მეშინოდა, რომ ბარსელონა ჩემზე უარს იტყოდა, რადგან 4-თვიანი დისკვალიფიკაცია მომცეს. ძალიან ბედნიერი ვიყავი, როდესაც გავიგე, რომ ბარსელონას კვლავ სურდა ჩემი ყიდვა, – განაცხადა ლუის სუარესმა.

სუარესი ბარსელონაში 2014 წელს გადავიდა და მას შემდეგ ის გუნდის ერთ-ერთი ლიდერია.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კიბოთი დაავადებული ბიჭი დის დაბადების შემდეგ გარდაიცვალა



ცხრა წლის ბრიტანელი ბეილი კუპერი, რომელიც კიბოთი იყო დაავადებული, თავის ახლად დაბადებულ დასთან შეხვედრიდან მეორე დღეს გარდაიცვალა. ექიმები აცხადებდნენ, რომ ის ამ დღემდე ვერ იცოცხლებდა, მაგრამ ბიჭმა საკუთარ თავს განუცხადა, რომ ამ დღეს მოესწრებოდა.

დაახლოებით ერთი წლის წინ, კუპერს ლიმფომა დაუდგინეს, ის მკურნალობის კურსს გადიოდა, მაგრამ ექიმებს მდგომარეობის გაუმჯობესების იმედი არ ჰქონდათ, ვინაიდან დაავადება განვითარების მესამე სტადიაზე იქნა აღმოჩენილი.

ბიჭის დედამ რეიჩელმა, გოგონა გასული წლის ნოემბერში გააჩინა. ძმამ და ჰოსპისში ნახა, სადაც ის შობის წინა დღეს, 24 დეკემბერს მიიყვანეს. მან და ხელში აიყვანა და მშობლებს სთხოვა, რომ მისთვის მილი დაერქმიათ. მეორე დღეს ბეილი გარდაიცვალა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. თვალის დაავადება, ახლომხედველობა; 2. საფოსტო გზავნილება; 3. პოპულარული პარკი თბილისში; 4. ბეტონიტური თიხის საბადო გურიაში; 6. ავტოდრომი საქართველოში; 8. კატისებრთა ოჯახის მტაცებელი ცხოველი; 11. მცენარეთა შემსწავლელი მეცნიერება; 12. ტრაგედია „ოიდიპოს მეფის“ პერსონაჟი; 16. მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი; 17. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 18. მათემატიკაში, ჯამის აღმნიშვნელი ბერძნული ანბანის ასო.

**თარაზულად**: 1. ტკბილი, წითელი ფერის ნაყოფის მქონე მრავალწლოვანი მცენარე; 5. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 7. სიტყვის ბოლოსართი გრამატიკაში; 9. დედამიწასთან ყველაზე უფრო ახლოს მდებარე მთვარის ორბიტის წერტილი; 10. თავად-აზნაურთა წინამძღოლი ძველად საქართველოში; 13. სისხლის აღების ადათი სიცილიასა და კორსიკაში; 14. ქვიშის, მადნის გადასაზიდი, თვითმცლელი სარკინიგზო ვაგონი; 15. გერმანელი მიკრობიოლოგი, ბაქტერიოლოგი, ეპიდემიოლოგი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 19. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 20. აფრიკის სახელმწიფო ბეჩუანალენდის დღევანდელი სახელწოდება; 21. ჰოლანდიური ლუდი; 22. მთა თბილისში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*